



№ 1.

# ივერია

წელიწადი პირველი

3 მარტს 1877 წ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოდის ხუთშაბათობით

ხელის მოწერა: ტფილისს, „ივერიის“ რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიოევის სახლების ზემოდ. № 5
ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

„ივერიის“ ფასი 1877 წელს.

ათი თვისა, გაგზავნით და გაუგზავნელად . . . 6 მან. —

თითო ნომერი . . . . . . . . . . . . . . . — 15 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილ წერილებს.

განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს ენაზე.

საძიებელი: I. წინასიტყვაობა.—II. საქართველოს მატიანე: ტფილისის გუბერნიის ეკონომიური ღონე რის ნაკლებ არ უნდა იყოს.—III. ცხოვრება და კანონი: წერილი პირველი—IV. მოკლე მოთხრობა სხვა და სხვა სახელმწიფოთათვის.—V. ქალაქის სცენები, სცენა—I. VI. „კარგი რამ მჭირდეს გიკვირდეს, ავი რასაკვირველია.—VII. წვრილი ამბები.—VIII. განცხადება.—

5971

## წინასიტყვაობა

ჟურნალ-გაზეთობაში შემოღებულია ერთი ახირებული ჩვეულება. გამოვა ახალი გაზეთი თუ არა, მისი რედაქცია უცილოდ ვალად ჰრაცხს პირველ ნომერშივე საზოგადოებას აუხსნას თვისი დედა-აზრი, თვისი მიმართულება, აღნუსხოს ყოველი ის, რითაც უპირობს გაზეთს სულის ჩადგმას და ხორცის შესხმასა. ამ ჩვეულების ძალმომრეობით გაზდილი საზოგადოებაც დაინახავს ახალს გაზეთს თუ არა, გულდაჯერებულია რომ პირველს ნომერშივე იპოვის რედაქციის აღსარებას მასზედ თუ რა აზრი და დანიშნულება აქვს ამ ახალ გაზეთსა; რის შემოტანა ჰსურს მწიგნობრობაში, თუ ცხოვრებაში; რა გზას, რა კვალს დაადგება საზოგადო ცხოვრებისაგან მოვლინებულთ საგანთა გამოძიებაში; რა თვალით განიხილავს ყოველს მას, რაც ჩვენი თუ სხვის ცხოვრება თვისს დაუდგრომელს მიმდინარეობაში აღმოაჩენს; რას და როგორ ემსახურება და ბოლოს რას გვპირდება და რას გვიქადისო.

ამ ჩვეულებას თვისი მართებული და პატივ-სადები საბუთი აქვს. საზოგადოებამ, რა საკვირველია, უნდა იცოდეს რა აზრის კაცთან იჭერს საქმეს, რისა და ვისს მიმდევარს უნდა ათხოვოს თვისი ყურად-ღება. მაგრამ ყოველს მასზედ, რაც წინ მოვიხსენიეთ, პასუხის მიცემა თითქმის შეუძლებელია. თუნდ ეგ არ იყოს, ცოტა უხერხოთაც მიგვაჩნია. ამ შემთხვევაში პასუხად ხომ ცარიელი ლიტონი სიტყვა უნდა იყოს,—და ცარიელი სიტყვა რა თამასუქია ნამეტნავად ამისთანა ეჭვით სავსე დროში. ვინა ვარ, რა აზრისა ვარ, რა საქმის დადგენა მინდა, რისთვის გამოვდივარ მოედანზედ—ესე ყველა იმისთანა საგანია, რომელზედაც საუბარი ვერ ეხერხება კაცსა. ორში ერთი: კარგს იტყვის კაცი,—თავისთავზედ თქმა იქნება და თუნდ მართალიც იყოს, ტრაბახობაში ჩამოართმევენ, ცუდს იტყვის კიდევ—სულელობა გამოვა, ჭკვიანი არ იყოს.

არც ერთი ეს თვისება ისე მიმზიდველი არ არის რომ კაცმა თავი იტკინოს და იმ ზემოხსენებულს ჩვეულებას თავიდამ ბოლომდე მიეცეს. გაზეთის საქმე დროთა მიმდინარეობისაა. დროს დავაცალოთ მის თქმა, რის მოლოდინიცა აქვს მკითხველს რედაქციისაგან.

ჩვენ დღეს მარტო ზოგიერთს ჩვენს აზრს გამოვსთქვამთ მასზედ თუ გაზეთ-ჟურნალობა რა ღონეა, რა ძალა, რა ფარ-ხმალია ადამიანისათვის ცალკე და საზოგადოებისათვის საერთოდ, რის უფლებას აძლევს მას, ვინც მაგის ასპარეზზედ გამოვა და რა მოვალეობასა სდებს კისრად.

ჟურნალ-გაზეთობა არის ერთგვარი ნაწილი მწიგნობრობისა. როგორც მთელს მწიგნობრობას, როგორც ყოველს გონებითსა ძალას ადამიანისას და მის ნამოქმედარს, ისე ჟურნალ-გაზეთობას საგნად ადამიანის ცხოვ-

აკად. ი. გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей

ოება აქვს. ცხოვრება დაუდგრომელს დუღილშია, ფეხშეუფერხებელს მოძრაობაშია. იგი თვის დუღილში, თვის მიმდინარეობაში ბევრს რთულს საქმეს და საგანს წამოაყენებს ხოლმე თვალწინ. ამ საქმესა და საგანს გარჩევა უნდა, ახსნა და თავისი ადგილის მიზომვა. ადამიანის გონებითი ძალა, რომელიც დღე მუდამ უნდა დაჰსტრიალებდეს ცხოვრებას, ორგვარად შეეხება ამ ცხოვრებისაგან აღმოჩენილს საქმესა და საგანსა. პირველი, როგორც მასალას, რომლიდამაც მეცნიერებითსა ძალას ადამიანისას გამოჰყავს დედა-აზრი (პრინციპი) და ამ დედა-აზრზედ აშენებს მეცნიერობის შენობასა, საიდამაც ეს დედა-აზრნი ისევ ცხოვრებაში უნდა გადმოვიდნენ. უამისოდ მეცნიერება უხმარი განძია, უქმის ჭკვის უქმი ვარჯიშობაა. მეორე, როგორც წილადებს, რომელთაგანაც შემდგარია დღევანდელი დღე, მის შინაგან-გარეგანი, ერთის სიტყვით, ის ჭაერი, რომლითაც დღეს ვსუნთქამთ, ვცხოვრობთ და ვაი ვაგლახობთ, ჩვენ და თქვენ, მკითხველო. რა ღონისძიებაა იმისთანა, რომ დღე მუდამის ცხოვრებისაგან მოგროვილი მასალა მეცნიერებას უზიდოს და მეცნიერებიდამ დედა-აზრნი გადმოიტანოს ცხოვრებაში? მეორეს მხრით, რა საშუალებაა იმისთანა, რომ დღე-მუდამის ცხოვრების ავ-კარგიანობა, ვითარება გადისტოს, გადისახოს? მწიგნობრობა ერთობ და ჟურნალ-გაზეთობა საკუთრივ. [illegible]რნალ-გაზეთობას ორგვარი დანიშნუ[illegible] მხრით იგი არის შუამავალი ცხოვრე[illegible]ს შორის, გამავრცელებელი კაცობრი[illegible]ებულის, გამოძიებულის და აღიარე[illegible] და ჭეშმარიტებისა; მეორეს მხრით, [illegible]ზოგადოების რთულის ცხოვრებისა, მისი გონებითის, ზნეობითის მოძრაობისა. მასში ჰსჩანს და ისახება ყოველ-დღიურის აზრის მიდენ-მოდენა.

როგორც აზრისა და ცოდნის გამავრცელებელი, ჟურნალ-გაზეთობა წარმოგვიდგენს ერთს უდიდეს სასწავლებელს, რომლის მეოხებითაც უნდა აღორძინდეს, აღიზარდოს, დაფუძნდეს და გამშვენიერდეს საზოგადოების აზრი და რწმენა, გრძნობა და გემოვნება. როგორც ცხოვრების სარკე, ჟურნალ-გაზეთობა წარმოგვიდგენს მას, რაშიაც უნდა ისატებოდეს თვით საზოგადოების აზრი, გრძნობა, სურვილი ცხოვრების სხვა და სხვა საგანთა თაობაზედ. რამოდენადაც იგი ამის ამსრულებელია, იმოდენად იგი საწყაო საზოგადოების გონებითის, ზნეობითის ძალისა და ნიჭისა, იმოდენად იგი საზომია ცხოვრების მოთხოვნილებისა და საჭიროებისა, იმოდენად იგი საშუალებაა, რომლის ძალითაც თვით საზოგადოება თვისის ცხოვრების სადავეს ხელთ იპყრობს და ცხოვრების თვით რჯულს დენას საკუთარს თაოსნობას უმორჩილებს.

ამ ორგვარს დანიშნულებას ჟურნალ-გაზეთობისას ერთი და იგივე ფერი არ აქვს სხვა და სხვა საზოგადოებაში და ერთსა და იმავე საზოგადოებაში სხვა და სხვა ისტორიულს დროს. არის დრო და საზოგადოება სადაც ჟურნალ-გაზეთობა განსაკუთრებით თუ არა, უმთავრესად მაინც მარტო მას მისდევს, რომ აღზარდოს საზოგადოების ჭკუა და გონება, გაუწმინდოს აზრი და გრძნობა, ააღორძინოს საზოგადოების თვით-მოქმედობითი ძალი და ხალისი თვით-ცნობისა. არის დრო და საზოგადოება, სადაც ჟურნალ-გაზეთობა საზოგადოების გამჭრიახობის, ზნეობითის მხნეობის და თაოსნობის გამომეტყველია, ასპარეზია სხვა და სხვა ცხოვრების გავშირთა და ძალთა ბრძოლისა. არის დრო და საზოგადოება, სადაც ჟურნალ-გაზეთობა და ცხოვრება და-ძმასავით ხელი-ხელს გაყრილნი მიდიან, ჟურნალ-გაზეთობა წინ მიუძღვის ცხოვრებასა და გზას უნათებს და ცხოვრება კიდე მწიგნობრობის მოედანსა თავისის უკეთესის ყვავილითა ჰფენს. არის კიდევ დრო და საზოგადოებაო, მეტყვი, მკითხველო, სადაც ჟურნალ-გაზეთობა ერთმანეთის ლანძღვა და თრევაა. ეგეც არის, ჩვენდა საუბედუროდ, მაგრამ რა ვუყოთ, სადაც წვრილია, იქა წყდება ხოლმე. ეს ვება ტანი ადამიანის ცხოვრებისა ისე როგორ გადარჩება, რომ დროთა ბრუნვამ სადმე მუწუკი და იარა არ აუჩინოს.

ეს სხვა და სხვა ფერობა ჟურნალ-გაზეთობისა დამოკიდებულია სხვა და სხვა გარემოებაზედ. იმ ქვეყანაში, სადაც საზოგადოების თვით-მოქმედობის ძალა მიღეულია, სადაც გონებითი და ზნეობითი ნიჭი დაძინებულია, იქ, რა საკვირველია, მწიგნობრობა ერთობ, და ჟურნალ-გაზეთობა საკუთრივ ძნელად თუ იქნება საზოგადოების აზრისა და გუნების გამომთქმელი. აქ უპირველესი მოვალეობა ჟურნალ-გაზეთობისა სწავლისა და ცოდნის გავრცელება უნდა იყოს, მან უნდა ფეხი აუდგას თვით-მოქმედობის ძალსა, მან უნდა აღადგინოს გონებითი და ზნეობითი ნიჭი. იმ ქვეყანაში კი, სადაც თვით-მოქმედობის ძალი საზოგადოებისა აღორძინებულია, სადაც გონებითი და ზნეობითი ნიჭი აწარმოებს ცხოვრებასა და მისგამო ცხოვ-

რება დუღს და ჰსჩქებს—იქ ჟურნალ-გაზეთობა აზრის აღებ-მიცემობაა, იქ იმის ამომთქმელია, რასაც ჩაჰჩხახებს საზოგადო აზრთა დენა, შეტაკება და ბრძოლა.

ხოლო ამას კი დავუმატებთ, ანუ უკეთ ვჰსთქვათ, განვიმეორებთ, რომ ცხოვრება რაც უნდა უძლური, მიმქვდარი და უღონო იყოს იმოდენად ღირს-შესანიშნავი რამ არის, რომ ჟურნალ-გაზეთობას არ შეუძლიან თვის ერთგვარს დანიშნულებას აჰყვეს და ცხოვრებას თვალი და ყური არ ათხოვოს. როგორიც უნდა იყვეს ცხოვრება ძლიერი, თუ უძლური, მაღალი, თუ დაბალი ჟურნალ-გაზეთმა უსათუოდ უნდა თვალი დააკვირვოს, უნდა შეისწავლოს, უნდა განმარტოს. იმიტომ, რომ ადამიანები განა მარტო მაყურებელნი არიან ცხოვრებისა, არამედ მოქმედნი პირნიცა. ცხოვრება არის თვითონ ამ პირთა ქმნილება, ამ პირთა ნამოქმედარი და ჭირნახული. რასაკვირველია მოჭირნახულემ უნდა იცოდეს თვისი ნამოქმედარის ავ-კარგიანობა, თვისება. ამისათვის ყოველ საგანს, ყოველს მოვლენას ცხოვრებისას, ავს თუ კარგს, დიდს თუ მცირეს ჟურნალ-გაზეთმა უნდა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება და შეძლებისა მებრ მიჰსცეს სასტიკს გარჩევას, განმარტებას თავისის რწმენისა, აზრისა და ცოდნის და გვარად. ამ შემთხვევაში მძიმე საქმეზედ ექმნება ლაპარაკი, თუ უმცირეს საგანზედ—ყოველგან და ყოველსფერში ჟურნალ-გაზეთმა უაღრესი და უპირველესი მნიშვნელობა უნდა მისცეს იმ იდეას, იმ დედა-აზრს, რომლითაც თვითონ სულდგმულობს, იმ გონებითს მხედველობას, რომლითაც თვით უყურებს საგანსა.

ზემოხსენებული აზრები რომ ჩვენს საზოგადოებას და ჩვენს მწიგნობრობას მივმართოთ, ადვილად გამოსაცნობია რა გზა უნდა ამოირჩიოს ჩვენში ჟურნალმა, თუ გაზეთმა.

სამეცნიერო ცნობათა გადმოტანა და გავრცელება საზოგადოებაში, ჩვენისა და უცხო ხალხთა ცხოვრების დაკვირვება და განმარტება,—აი რაში მდგომარეობს ჩვენის გაზეთის პროგრამმა.

დრომ გამოაჩინოს რამოდენად შევძლებთ იმ საქმეს, რომლის კისრად აღება ჩვენ დღეს გავბედეთ.

რადგანაც ჟურნალ-გაზეთი ადამიანის ყოფა-ცხოვრებაში უნდა მოქმედობდეს და იმ ყოფა-ცხოვრების საკეთილოდ იღწოდეს, ამისგამო ადამიანი ცალკე როგორც კერძო პირი და ერთად როგორც საზოგადოების ხელ შეუხებლად ვერ გადურჩება გაზეთსა. იმ გაზეთს, თუ ჟურნალს, რომელსაც აქვს თვისის ღირსების ცნობა, თვისი პატივისცემა, და თვისი კეთილშობილური თავმოწონება, იგი იმავე ღირსებით, იმავე პატივის ცემით უნდა მოექცეს ყოველს კერძო პირს და ყოველს საზოგადოებას. ეგ პატივის ცემა კერძო პირისა და საზოგადოებისა დედა-კანონად უნდა ჰქონდეს ყოველს რიგიანს და მართებულს ჟურნალს თუ გაზეთსა. ხოლო პატივის-ცემა იმაში კი არ უნდა მდგომარეობდეს, რომ ადამიანი ადამიანს პირ-მოთნეობით ექცეოდეს. ეგ ადამიანის პატივის-ცემა კი არა, ეგ შეურაცხ-ყოფა იქნება. ცუდია, თავის მეცნიერების შემაგინებელია, ადამიანის მოღალატეა ის ექიმი, რომელიც სნეულს უებარს წამალს არ ასმევს მარტო იმის გამო, რომ მწარეა. არა, ჭეშმარიტი პატივის-ცემა ის არის, რომ პირში, გულახდილად ადამიანმა ადამიანს მართალი სიტყვა უთხრას. ისე უთხრას რომ არ შეუგინოს, არ შეურაცხ-ჰყოს მისი ადამიანობა მისი კაცობრიული გრძნობა, ღირსება და პატივი, არ დაურღვიოს ის ძვირფასი და უკეთესი ზნეობითი კანონი, რომელიც კაცს კაცად ჰქმნის და რომლის მეოხებითაც იგი თავის-თავს კაცად ჰსცნობს და აღიარებს.

სხვა რა უფლებაა ადამიანისა იმაზედ უცილო, იმაზედ სანატრელი, იმაზედ წმინდა და უძვირფასესი, რომ კაცმა კაცისაგან პატივის-ცემა, ღირსეულად და მართებულად მოქცევა ითხოვოს? სხვა რის მეოხეთ უნდა იყოს მწიგნობრობა საერთოდ თუ არ ადამიანის უფლების შემნატრეთ, მწეთ და მოსარჩლეთ? სხვა რით არის ადამიანი სხვა ცხოველზედ წინ წამომდგარი, თუ არ ამ ზნეობითის კანონით, რომ მეც კაცი ვარ, შენც კაცი ხარ, ერთმანეთის პატივის-ცემა გვმართებსო?

ძნელია ესე ყოველისფერი, ჩვენო მკითხველო, მაგრამ მაგ სიძნელეშია ის საწყაოც, რომლითაც უნდა აიწყოს გაზეთის ღირსება და რომლითაც შენ უნდა მიუწყო მისთა მოღვაწეთა შენი გულითადი თანა-გრძნობა, შენი პირუთვნელი პატივის-ცემა და შენი უანგარო სიყვარული.

---

## საქართველოს მატიანე

ტფილისის გუბერნიის ეკონომიური დონე რის ნაკლებ არ უნდა იყოს. ჩვენ აქამომდე ჩვენის ქვეყნის სტატისტიკისა, თუ ეკონომიურის ვითარებისა ბევრი არა

...თ რა. თუ ამ საგნებზედ ხსენებულს რამ ისიც რუსულად ...რებში კანტი-კუნტად თუ სადმე მოიპოვება, თვარემ ქარ...ლს ენაზედ ჩვენ ამის შესახებ არა გვახსოვს რა. ამის გამო, ჩვენ ვფიქრობთ, რომ არ იქნება მეტი ამ საგნებზედ წარმოვუდგინოთ მკითხველს ზოგიერთი ცნობა და ამასთანავე განვუზიაროთ მას ის ფიქრი და დასკვნა, რაიც, ჩვენის აზრით, მაგ ცნობებს შეუდგება. ცნობანი, რომელთაც ეს წერილი ქვემოდ მოგახსენებთ ამოკრეფილია ტფილისის გუბერნიის დებულების ოქმებიდამ. ამიტომაც ეს ცნობანი უფრო დასაჯერია, რადგანაც დებულების ოქმები ჯერ არის განხილული მებატონისა და გლეხის მხრითა, რომელთ მწვავს ინტერესს მაგ ოქმების სიმართლე შეადგენს და მერე ადგილობრივ გამოკვლეულია, შეთანასწორებულია და შემოწმებული მთავრობის კაცისაგან. ამის გამო თუ რამე სიგელი ქვეყანაზე დასაჯერია, იმათში დებულების ოქმები უკანასკნელნი არ უნდა იყვნენ. ამას კი მოვიხსენიებთ, რომ ჩვენ მხედველობაში გვქონდა მარტო 14230 კომლის ოქმი. მთლადკი ნაყმევნი თბილისის გუბერნიაში 17,360 კომლია. *)

ამ ოქმებიდამ სჩანს, რომ დროებითვალდებული გლეხი, რომელთაც მიწა და ბინა მიჰხცემიათ ტფილისის გუბერნიაში ყოფილა:

1) კამერალიის აღწერით:
   ა) კომლი — — 14,119.
   ბ) სული — — 57,077.
2) დებულების ოქმებით:
   ა) კომლი — — 14,230.
   ბ) სული — — 57,632.

ამათ მისცემიათ სახმარად:

1) ვენახები— —9,484 დღიური და 874 ოთხ-კუთ. საჟ.
2) სახნავი და სათიბი—135,814 — და 237 —

ამათ შორის:

ა) სარწყავი, ანუ სარწყავად ჩათვლილი 85,300 — და 353 —
ბ) ურწყავი — — — — — 50,513 — და 1084 —

რიცხვთა შუა ანგარიშით ვენახები მოდის:

1) კომლზედ:—800 ოთხ. საჟ. ანუ $^2/_3$ დღიურისა
2) სულზედ: —198 — — ანუ $^1/_6$ დღიურზ. ცოტა ნაკ.

იმავე ანგარიშით მიწები მოდის:

1) კომლზედ: { სარწყავი—6 დღიურზედ ცოტა ნაკლებ; ურწყავი—$3^1/_2$ დღიურზედ ცოტა მეტი }
2) სულზედ: { სარწყავი:—$1^1/_2$ დღიურზედ ცოტა ნაკ.; ურწყავი:—1 დღიურზედ ცოტა ნაკლ. }

---

*) შენიშვნა: Поземельная регистрація временно-обязанныхъ крестьянъ Тифлисской губерніи (по уставнымъ грамотамъ) 1873—1874 г.

ესლა ამ რიცხვთა საქმეს რაც შეუდგება რომ წი... გავიძღოლოთ, შეგვიძლიან, ვარაუდობით მაინცა თუ არ... გულ დაჯერებით, აღვსწეროთ ტფილისის გუბერნიის მთელის გლეხობის ვითარებაცა.

ვიდრე ამ აღსნას შევუდგებით საჭიროდ ვრაცხთ... მოვიხსენიოთ, რომ ნაყმევთა გარეითად ჩვენის გუბერნიის გლეხობას შეადგენენ საეკლესიო (რომელნიც ესლა სასასოდ არის შერიცხულნი) და სახასო გლეხნი, რომელთაც როგორც ვენახები, ისე სახნავ-სათიბი მიწები უფრო უხვადა და ბლომადა აქვსთ. ამას დამტკიცება არ უნდა. ეს ყველამ იცის, ვისაც კი ამ მხრით თვალ-ყური უდევნებია ჩვენის ქვეყნისათვის. მაშასადამე ნაყმევთა წილად ხდომილობის ზომაზედ რომ წავიდეთ და იმ ზომით აღვხსნათ საეკლესიო და სახასო გლეხთა მიწათ-ქონებლობის რაოდენობა—ეგ რაოდენობა ნაკლები იქნება და... არა მეტი მასზედ, რაც ნამდვილად უნდა იყოს. მაგ გვარად გამოკვლეულს რაოდენობას ის ღირსება მაინც ექმნება, რომ კაცი გულდაჯერებით იტყვის: „ეს უკანასკნელია ამაზედ თუ არ მეტი ნაკლები აღარ შეიძლება იყოსო." ესეც ერთის ფეხით წინ წადგომაა მისთვის, ვისაც ჩვენი... ქვეყნის ვითარების გაგება უნდა. ჯერ ეს ვიმყოფინოთ... ვიდრე ჩვენის ქვეყნის მკვიდრთა მოსახლეთა თაობაზე... უფრო ნამდვილის ცნობის შეკრება შესაძლო გვექნება.

ტფილისის გუბერნიაში სულ ითვლება სული—652,833 ... წინად-ხსენებულის რიცხვთა-შუა ანგარიშით სულზე... რომ 198 ოთხ-კუთხიანი საჟენი ვენახი ჩავთვალოთ, $1^1/...$ დღიური სარწყავი მიწა და 1 დღიური ურწყავი, გამოვ... რომ მთელს გუბერნიაში, სულ ცოტა რომ ვსთქვათ... გლეხობას უჭირავს:

1) ვენახები — — 108,550 დღიური და 914 ოთხ. საჟ...
2) სახნავ-სათიბი { სარწყ.—972,249$^1/_2$ დღ.; ურწყ. —652,833 — } 1,625,082$^1/_2$ დ...

მცოდნე პირნი გულდაჯერებით ამბობენ, რომ დღიურ... ვენახზედ რიგიანს მოსავალში სამი საპალნე (ოთხას... თუნგი) ღვინო უნდა გამოვიდესო. ჩვენ რომ ერთი სა... პალნე (133$^1/_3$ თუნგი) მაინც ვიანგარიშოთ, გამოვა რო... ტფილისის გუბერნიის გლეხობას წელიწადში მოსდი... ღვინო:

საპალნე — — — 108,500.

ბევრგან მიღებულია რომ წელიწადში სეტყვისაგა... ხდება $^1/_{10}$ ადგილი. ჩვენ რომ ამაზედ მეტი სეტყვი... ხვედრპლად გადავდოთ, ესე იგი, $^1/_8$ მთელის გუბერნიის და ამის წანახედი $^1/_8$ ღვინის მოსავლიდამ გამოვიდე... მირს დარჩება 94,937 საპალნე და ცოტა მეტი.

სახნავი მიწები რომ ნახევარი ჩვეულებისამებრ ისვენებდეს და ნახევარი ისვენებდეს, გამოვა რომ ყოველ... წლივ ჭირნახულს ქვეშა იქნება:

1) სარწყავი — 486,124 *)

2) ურწყავი — 326,416.

მცოდნე პირთაგან გაგონილი გვაქვს, რომ რაც მიწების მოქმედებაში, იმათგანი $^1/_2$ პურის მოსავლისაა, $^1/_4$ სიმინდისა, $^1/_6$ ქერისა და $^1/_{12}$ ფეტვისა. ამ ანგარიშით გამოვა რომ:

1) სარწყავ მიწებზედ მოდის:

ა) პური — — — 243,062 დღიურზედ.

ბ) სიმინდი — — — 121,531 —

გ) ქერი — — — — 81,020 —

დ) ფეტვი — — — 40,510 —

2) ურწყავ მიწებზედ მოდის:

ა) პური — — — — 163,208 —

ბ) სიმინდი — — — 81,604 —

გ) ქერი — — — — 54,402 —

დ) ფეტვი — — — 27,201 —

დღიურმა სარწყავ-მიწამა რომ 12 სამ-ფუთიანი კოდი პური აყუნოს **), სიმინდი—16 კოდი, ქერი—16 და ფეტვი—16 კოდი, გამოვა წლის მოსავალი:

ა) პური — — — — 2,916,744 კოდი

ბ) სიმინდი — — — 1,944,496 —

გ) ქერი — — — — 1,296,320 —

დ) ფეტვი — — — — 648,160 —

სულ ერთად იქნება:—6,805,710 კოდი.

დღიურმა ურწყავმა რომ 6 კოდი პური აყუნოს და რვა-რვა კოდი სხვა ზემოხსენებული სულადი, წლის მოსავალი გამოვა:

ა) პური — — — — 979,249 კოდი.

ბ) სიმინდი — — — 652,833 —

გ) ქერი — — — — 435,222 —

დ) ფეტვი — — — — 217,611 —

სულ ერთად: — — — 2,284,915 კოდი.

სულ ტფილისის გუბერნიის გლეხობის სულადის მოსავალი სარწყავისა და ურწყავისა ერთად ამ ანგარიშით შეადგენს 9,090,625 კოდს.

ერთი მერვედი დათესილის მიწებისა რომ ყოველწლივ ისვენებდეს, ანუ მთელი გუბერნია რვა წელიწადში ერთხელ და ამისგამო $^1/_8$ წანაწყდი ყოველის წლის მოსავლიდამ გამოვიდეთ, მირს დარჩება 7,954,297 კოდი.

ამ დანარჩენიდამ რომ დღიურზედ სამი კოდი თესლისათვის გადავსდვათ, სარზდოებისათვის ხალხს მთელს გუბერნიაში დარჩება 5,517,677 კოდი.

სულადისა და ღვინის მოსავალი რომ ტფილისის გუბერნიის სულთა რიცხვზედ გავანაწილოთ, გამოვა რომ წელიწადში თვითო სულს ხვდება:

ა) სულადი-რვა კოდი და ორს ფუთზედ ცოტა მეტი

ბ) ღვინო—ოცდაორს თუნგზედ ცოტა ნაკლებ.

1877 წ. რუსულს კავკასიის კალენდარში მოხსენებულია, რომ მთელის გუბერნიის მოსავალს, (მაშასადამე არამც თუ მარტო გლეხობისას, არამედ თავად-აზნაურობისასაც) შეადგენსო:

1) ღვინო 2,297,800 ვედრას.

2) სულადი, სათესლეს რომ გამოვიღეთ,—1,574,846. ჩეტვერტსა.

მაშასადამე კალენდარის ანგარიშით სულზედ წელიწადში მოდის:

1) ღვინო—ათ თუნგ-ნახევარი.

2) სულადი (პური, სიმინდი, ქერი და ფეტვი) სამი კოდი და ერთი ფუთი.

ამას რომ დავუჯეროთ, გამოვა რომ ჩვენის გუბერნიის ხალხი თუ წუწურვილით არა, შიმშილით მაინც აქამდის უნდა ამოწყვეტილიყო, ან არა და ღვინოცა და პურიც სხვიდან უნდა ეზიდნა ყოველ წლივ. ეს დაუჯერებელია, იმიტომ-რომ სხვიდამ მოტანილს სასყიდელი უნდა და ჩვენს გუბერნიას თუ ღვინო და პური სხვიდამ უნდა ზიდოს, სხვა რა აქვს, რომ ის გაყიდოს და მის ფასით პურისა და ღვინის აუცილებელი საჭიროება მოიგვაროს.

## ცხოვრება და კანონი

—

### წერილი პირველი

ბუნებამ რაც უნდა სიმდიდრით მორთოს რომელიმე მხარე, ანუ ქვეყანა, რაც უნდა მრთელი ჭკვა მიჰსცეს ადამიანს საცხოვრებლად და ნაყოფიერი მიწა საზრდოებისათვის, მაინც და მაინც ხალხთა კეთილ-დღეობას სხვა მხრითაც ხელის შეწყობა ჭსდომებია. კაცს მაგოდენად ვერა შველის თურმე ვერც სიკეთე ჭკუისა, ვერც სიმსუქნე მიწისა, ვერც შეძლება ყოველ-გვარის წარმოებისა, თუკი კაცთა შორის კეთილად დადგენილი და ცხადად განსაზღვრული არ არის ურთიერთ-შორისი უფლება და მო-

---

*) ამას ქვევით უგულვებ წილადებს (дроби) ანგარიშში აღარ მოვიყვანთ, იმიტომ რომ რიცხვს ცოტა-უმნიშვნელოდ აპატარავებს და თითქმის არა ვითარს მეტ-ნაკლებობას კი არ შეადგენს.

**) ჩვენ ქვევით დღიურზედ თესლი 3 კოდი გვიანგარიშებია ამის გვალობაზედ პურის მოსავალს ერთს ოთხად ვიღებთ და სხვა სულადისას ერთს ხუთად და ერთ მესამედად. ვერავინ ვერ იტყვის, რომ ეს მოჭარბებულად ნაანგარიშებულია.

...ობა. კაცთა კმაყოფილებისათვის, ხალხთა კეთილდღეობისათვის ეს უკანასკნელი უფრო აუცილებლად საჭიროა, ვიდრე სხვა რამე ქვეყნიერობაზედ. მთიულსა შოტლანდიისას გარს ახვევია გულ-დასწყრული, ღარიბი ბუნება. იგი დიდის შრომითა და ღვაწლით ართმევს ბუნებას იმ თვითო ლუკმა პურს, რომელსაც აწვდის თავის ჯალაბს საზრდოებისათვის. იგი თავ-გადადებით, თავ-გამომეტებით დღე და ღამ ებრძვის ბუნებას და ყოველი ესრეთ მოპოებული ლუკმა პური ძლევა-მოსილობაა მისის მხნეობისა, შრომის-მოყვარეობისა. თუმცა ესრედ აღამებს იგი დღეს და ათენებს ღამეს, მაგრამ იგი უფრო ბედნიერი და კმაყოფილი, ვიდრე სპარსელი, რომლისათვისაც ბედს შემოუფარგლავს უკეთესი ქვეყანა კაცთა საცხოვრებლად და საზრდოებისათვის. ერთი არის თავმომწონე გამბედავი, თავისუფალი, მედგარი და გულ-და-გული კაცი, მეორე არის გულ-ჩათუთქვილი, ილაჯ-გაწყვეტილი, ფრთხალი და გათელილი. ერთი იმედით აღსავსე სულ წინ იყურება და ყოველი მისი ფეხის წინ წადგმა ძლევა-მოსილობაა ხვალისათვის, მეორე სასო-წარკვეთილია, შიშით სულ უკან იყურება და გუშინდელს მშვიდობით გატარებულს დღეს ნატრულობს და არა ჰსწამს ხვალე. ერთი სულით თუ ხორცით ყოველ-დღე წარმატებაშია, თუმცა ღარიბი ბუნება ახვევია, მეორე სულითაც და ხორცითაც დაღუპვაშია, თუმცა მისგარე ბუნება უხვია და მდიდარი. რა არის ამისი მიზეზი? ის არის რომ ბედნიერმა შოტლანდიელმა იცის „ჩემი აქ თავდებაო და სხვისა აქ იწყებაო“, უბედურს სპარსელს კი არც თავისი გაეგება და არც სხვისა.

რაც სხვისაა,—ჩემი მოვალეობაა; რაც ჩემია,—ეგ ჩემი უფლებაა.

უფლება და მოვალეობა, რომელნიც არიან პირველნი და უკანასკნელნი საგანნი ურთიერთ-შორის განწყობილებისა, დაიდგინება და განისაზღვრება მხოლოდ ხალხის კანონ-მდებლობის ძალითა და ნიჭითა. ამ მხრით, რასაკვირველია, საბუთი აქვსთ მათ ვინც ამბობენ, რომ მომქმედთა კანონთა უვარგისობა, თუ სიკეთე თვითონ ხალხის ბრალია, იმიტომ რომ თავი და ბოლო კანონებისა თვით ხალხია. რამოდენად მისაღებია ეს საბუთი, ჩვენ მაგის გამოძიებას არ შევუდგებით. ჩვენ მარტო ის გვინდოდა გვეთქვა, რომ რაც უნდა მდიდარი ქვეყანა იყოს ბუნებით, თუ იქ ჩემი და შენი, ესე იგი, კაცთა უფლება და მოვალეობა ძნელად გასარჩევია და არ არის საყოველთაოდ განსაზღრული ცხადად და უცილოდ, იქ ხალხის წარმატება და კეთილ-დღეობა, თუ ყოველ-დღე უკან არ იწევს, შეფერხებული ხომ არის და არის. ამისი მაგალითი თვით ჩვენი ქვეყანაა. ერთი მიითხარით, რა არ მოუცია ღმერთს ჩვენის ბედნიერებისათვის? ყოველისფერი უხვად გვაქვს, მხოლოდ არა გვაქვს ურთიერთშორისი განწყობილება. მაგრამ ამ უკანასკნელს ათს წელიწადში, სახელდობრ 1864 წლიდამ, ჩვენში ბევრ-გვარი ცვლილება მოხდა, რომელთ აზრათ ჰქონდათ და აქვთ საზოგადო ურთიერთშორისი წყობილება უკეთესს და უფრო უმართლესს ნიადაგზედ დაედგინა. ამ ცვლილებას ჩვენში ყოველი გონიერი და მიხვედრილი კაცი დიდის სიხარულით და თითქმის აღტაცებით მიეგება. ხოლო გამართლდა ჩვენი სიხარული და აღტაცება თუ არა? ჩვენ ვეცდებით, ამის პასუხი მივცეთ მკითხველსა.

**1864** წ. მოხდა ჩვენში ყმების განთავისუფლება. მოისპო ჩვენში ერთისაგან მეორის ადამიანობის გაქელვის მიზეზი, კაცი კაცად აღიარეს. ეს ერთი დიდი და უკეთესი მხარე ამ სახელოვანის ცვლილებისა. აქ ყოველივე დამოკიდებულების კავშირი სამუდამოდ გაწყდა; ერთს ჩამოაცალეს ის, რაც სიმართლის შეურაცხ-ყოფა იყო, მეორეს დაუბრუნეს ის, რაც უმართლოდ წართმეულ ჰქონდა. ამ მხრით ორთა-შუა ხელის მოსაკიდებელი და სადავიდარაბო არა დარჩენილა რა, ჩემსას და შენსას ამ მხრით მათ-შორის ადგილი აღარა ჰქონდა. მაშასადამე აქ საჭირო არ იყო განსაზღვრა უფლებისა და მოვალეობისა. ხოლო ბატონ-ყმობის საქმეში არის მეორე მხარეც, რომელსაც ქვეყნის კეთილ-დღეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. განთავისუფლებულს გლეხს დაბინავება უნდოდა. უამისოდ გლეხის განთავისუფლება იმას ეგვანებოდა, რომ კაცისათვის გეთქვათ: წადი, ეხლა თავისუფალი ხარ, რომ შიმშილით მოკვდეო. ჩვენდა საკეთილოდ ეს ასე არ მოხდა. გლეხს ბინა მიეცა, მიწა მიეცა. რადგანაც გლეხის ადრინდელი ბინა და მიწა საბატონოდ აღიარეს და გლეხს სახმარისად დაუტევეს, მაშასადამე აუცილებელი საჭიროება მოითხოვდა განესაზღვრათ უფლება და მოვალეობა გლეხისა და ნაბატონარის შორის. აი ჩვენის ფიქრით, ამ განსაზღვრაში მოხდა ის, რამაც ჩვენი თავ-დაპირველი სიხარული არ გაამართლა იმოდენად, რამოდენადაც იმედი გვქონდა. რასაკვირველია, ვიდრე ეგ საქმე გადაწყდებოდა, დიდი ლაპარაკი და ყაყანი იყო მასზედ თუ როგორ უნდა გაეშველონ ბატონი ყმასა, ყმა ბატონსა. მცირემ, მაგრამ უკეთესმა, ნაწილმა ჩვენის საზოგადოებისამ მაშინვე აღიარა, რომ თუ საქმე იმაზე მიდგა, რომ უსათუოდ უნდა გავშველდეთო, ისა ჰსჯობიაო ეხლავე ისე გავშველდეთო, რომ ურთიერთშორის სამდურავისა და დავიდარაბის მიზეზი ჩვენში აღარა დარჩეს რაო. რაკი გლეხი მისის ნაშრომის მიწების მეპატრონეთ არ იცნეს, რასაკვირველია, ეს აზრი ფრიად მოსაწონი და სამჯობინარი იყო ყველასათვისა. ამ გვარად გაშველებისათვის ორი გზა იყო: ერთი ის რომ მებატონეს მაშინვე მიეყიდნა გლეხისათვის მამული და მთავრობას გლეხისათვის ამაში ხელი გაემართა, ან არა

და გადასახადი მოჭრით განესაზღვრათ, გადაეკვეთათ. რასაკვირველია, პირველი გზა უმჯობესი იყო, თუ არჩევაზედ მივარდნილ იყო საქმე. მაგრამ არამც თუ არც ერთი ეს გზა არ მიიღო ჩვენმა საზოგადოებამ, არამედ მაგ გზების დედა-აზრიც სრულად უარ ჰყო.

ჩვენის საზოგადოების მეორე ნაწილმა, უფრო უმრავლესმა, განდევნა სრულად პირველთა დედა-აზრი და არჩივა საქმის გათავება ისე, რომ გლეხისა და ნაბატონარს შორის ცოტა კლანჭ-გამოსადები რამ დარჩენილ იყო. ჩამოვარდა მეოთხედობა—ეს განუსაზღვრელი მიზეზიანი მოვალეობა ერთისა და მეორისაც. მოჰყვა ამას, ვითარცა აუცილებელი შედეგი, სხვა და სხვა კანონები სადავიდარაბოდ ორივე მხრისათვის თავში საცემი. რომ მებატონესთან გლეხი პირნათლად გამოსულიყო, რასაკვირველია მებატონის კაცი უნდა დასწრობოდა ნამუშევარის შინ შემოტანის დროს, რომ მეოთხედი მიეთვალა თუ აეწონა. დაიდვა ეს კანონიცა. ყველამ იცის, რომ ნამუშევარი თითქმის ერთსა და იმავე დროს შემოდის მთელ საქართველოში თუ არა, ერთ და იმავე სოფელში მაინც. აბა ეხლა იფიქრეთ, რა უნდა ექმნა ამ შემთხვევაში იმ მებატონეს, რომელსაც ათი და ოცი კომლი ნაყმევი ეყოლებოდა? როგორ უნდა გასწვდენოდა ათსა და ოცს კომლსა? სადა ჰყვანდა ათი და ოცი კაცი მაგ მეოთხედების უკან სადევნებლად ერთ და იმავე დროს? არ გაგზავნიდა—ეზოში უნდა ჩავარდნილიყო, გლეხი მომპარამსო და გაგზავნიდა—კიდევ იმ მეოთხედიდამ კაცების დაჭერის ხარჯს კაი წილი მიჰქონდა. იყო ორ ჭირშუა. ამ შემთხვევაში ან გლეხის კეთილ სინიდისიანობას უნდა დამყარებოდა, ან არა და ერთი თუ ორი კაცი უნდა ეტარებინა მეოთხედების ასაკრეფათა, რადგანაც მეტს მძიმე ხარჯი მოსდევდა. გლეხი უფრო ცუდს დღეში იყო. თუ მოუცდიდა ნაბატონარის კაცს, ვინ იცის როდის მოვიდოდა, და ბატონის კაცის ლოდინში შიშით სული ელეოდა, ავდარმა ნამუშევარი არ წამისდინოსო; არ მოუცდიდა კიდევ შიში ჰკლავდა, მეტს წამომედავებიანო.

ამ ყოფაში ან ერთს რა გამორჩომა ექმნებოდა თავისის მამულიდამ, ან მეორეს თავის ნამუშევარიდამა. ამ მდგომიარობაში ან ერთის გაკეთება რა საფიქრებელია, ან მეორისა. აქ ბევრსაც რომ ცდილიყვნენ ვერც მებატონე და ვერც გლეხი ვერ შესძლებდნენ საქმე ისე მოემართათ, რომ ურთიერთის უფლება და მოვალეობა არ დაერღვიათ. ჩვენ ამისი მოწამეც ვყოფილვართ რომ გლეხს გარედ დალპობოდეს ნამუშევარი ბატონის კაცის ლოდინშია. ხანდისხან ჯაბრი ამაზედ უარესს საქმესაც მოახდენდა ხოლმე. ამისი მაგალითები ორივეს მხრით ბევრია. ესე იყო თუ არა, მაინც და მაინც მაგ განუსაზღვრელს მეოთხედობის გამო ბატონსაც და გლეხსაც საქმე იმაზედ შეუდგათ, რომ ნებით თუ უნებლიედ ურთიერთის კეთილ-სინიდისიანობაზედ უნდა დამყარებულიყვნენ. ვინ არ იცის კიდევ, რომ კეთილ-სინიდისიანობა გაჭიმული თოკია, რომელსაც დიდნი ზედ გადაბოტებენ და ისე გადადიან პატარები კი ქვეშ გაუძვრებიან ხოლმე. რადგანაც ამგვარს ვარჯიშობას არც დიდნი თაკილობდნენ და არც პატარები, ამიტომაც ატყდა ბატონისა და გლეხისშორის აუარებელი საჩივარი და დავიდარაბა. პირველ ხანებში ამ საჩივრებს ვერ აზდიოდნენ მოსამართლენი.

ამ მეოთხედობას ამას გარდა სხვა აუცილებელი კანონიც დაერთო საშფოთო და სადავიდარაბო. რაკი მეოთხედი უნდა ეძლია გლეხს, ისიც უნდა დაეწესათ თუ რამოდენა უნდა ეხნა გლეხს ყოველ-წლივ. უამისოდ გლეხს რომ ათის დღის მიწა ეჭირებოდა და მარტო ერთისა ეხნა, მებატონეს თავისის საკუთრებიდამ ბევრი არა შემოუვიდოდა რა. ამისათვის გლეხს კანონმა კისრად დასდვა, რომ უსათუოდ რგებულის მიწების ნახევარი ყოველ წლივ მოხნული უნდა ჰქონდესო. ამ კანონმაც მრავალი შფოთი ჩამოაგდო ორთა შუა და მრავალი საჩივარი გამართა. შფოთებმა ამ ორ წოდებათა შორის უსიამოვნობა დათესა და საჩივრებმა კიდევ თავი მოაბეზრა მებატონესა და გლეხსაცა. ახლა ამას ისიც ზედ დაართეთ, რომ მაგ საჩივრების გამო ჩვეულებრივი მიწერ-მოწერა გაიმართებოდა ხოლმე, დაბარება, გამოძიება და ამისგამო საჩივარის თავი თუმცა იყო, მაგრამ ბოლო კი არა სჩნდა. რადგანაც აქ საქმე თითქმის დღიურს საზრდოებაზედ იყო შემდგარი, ამისათვის ვერც მებატონე ითმენდა და ვერც გლეხი იმ დრომდე, ვიდრე სამართალი თავისას იტყოდა. გაიმართებოდა ხოლმე ძალ-მომრეობითი ტაცება, დარბევა და სხვა ამგვარი. ამ დანაშაულობას შეუდგებოდა ხოლმე ახალი საჩივრები და დავიდარაბები. ამაების გამო ცხოვრების ილაჯი გლეხსაცა და მებატონესაც გაწყვეტილი ჰქონდა. რასაკვირველია, გლეხს უფრო, ვიდრე მებატონესა, იმიტომ რომ გლეხი დღიური მუშა კაცია და იმისათვის საჩივრებისაგამო აქა იქ თრევა და ტანტალი ლუკმა პურის დაკარგვაა. მართალია ზოგან რომ არაქათი გაუწყდათ ბატონსა და გლეხსაც, აიღეს და ეგ საშფოთო და განუსაზღვრელი მეოთხედი გადაკვეთილ და გადაჭრილ გადასახადად გაიხადეს, ერთის სიტყვით, შინაურულად მორიგდნენ. მაგრამ საუბედუროდ ყველგან არა. ეგ მარტო იქ მოხდა, სადაც გლეხს უფრო კაც-მოყვარე და მშვიდობიანი მამულის პატრონი შეხვდა და სადაც მაგისთანა მამულის პატრონს—გულ-მართალი გლეხი. უფრო ბევრგან კი, ჯაბრისაგამო თუ დავიდარაბის სიყვარულისა გამო, ისევ ის განუსაზღვრელი, სახათაბალო, მიზეზიანი მეოთხედობა დარჩა. ამისგამო დღესაც თუ არ წეწვა და გლეჯაა, უსიამოვნობა მაინც არის და არის.

მთავრობას, რომლის თაოსნობითაც გაუქმდა ჩვენში ბატონ-ყმობა, წინადვე დანახული აქვს ეგ უსათუონო შედეგი განუსაზღვრელის ყოფა-ცხოვრებისა და ბატონისა და გლეხის საკეთილოდ წამალიც ცნობილი და ნაპოვნი აქვს. თუმცა მეოთხედობა გლეხთა-განთავისუფლების წესდებაში შევიდა, მაგრამ მთავრობის შორ-მხედველობითმა მსჯელობამ ყურადღება მიაქცია იმ უმცირესთა დედა-აზრსაც, რომელიც წინ მოვიხსენიეთ. იმავ წესდებაში ორი გზა არის ნაჩვენები ბატონ-ყმობის საქმის უკეთ დაბოლოებისათვის. პირველი და უკეთესი ის, რომ გლეხს ღონისძიება აქვს მთავრობისაგან დანიშნული მამული შეისყიდოს და მეორე ის, რომ ვიდრე ეს მოხდება, ეგ მეოთხედი ერთს განსაზღვრულ და გადაკვეთით გადაჭრილ გადასახადათ უნდა იქცეს. ამ ორს საგანზედ შემდეგში გვექნება ლაპარაკი.

---

## მოკლე მოთხრობა სხვა და სხვა სახელმწიფოთათვის.

---

წავიდა ის დრო, როდესაც თვითეული სახელმწიფო, თუ საზოგადოება მარტო თავისის თავის მაყურებელი იყო და მარტო თავის კერძო ავ-კარგიანობაში გართული. თვითოეული ქვეყანა ისე მკვიდრად იყო კარ-ჩაკეტილი და ზღუდე მოვლებული, ისე მიუკარებლად განშორებული სხვა ქვეყნებთან, რომ თითქო შორს ერიდებაო, ან მტერს ესაფრებაო. ერთის ქვეყნის ხალხი მეორეს ან მტრის თვალით უყურებდა, ან თავ-მოწონებით, რომ მე ის როგორ მეკადრებაო. თქმა აღარ უნდა, რომ ამ გვარს კარ-ჩაკეტილობას და მიუკარებლობას დიდი მავნებელი ზედ-მოქმედება უნდა ჰქონოდა ხალხთა ყოფა-ცხოვრებაზედ, უნდა ძალიან შეეფერხებინა მისი განათლება, განვითარება, მისი უკეთესობის წადილი და მიდრეკილება. ოთხს კედელშუა დამწყვდეული საზოგადოება ერთხელ დადგინებულის წესისა და ჩვეულების შეგუბებულს ჭაერში სულს იტრიალებდა; გარედამ მას არც მზე და არც გამაცოცხლებელი სიო არ ეკარებოდა. ჯეროვანად ცნობილი სხვის მაგალითი, რომელიც შეადგენს დიდს ძალს განათლებისას და უკეთესობისას, თავისის მეზობლების გაცნობა, მათი ყოფა-ცხოვრების შესწავლა, მათის ავ-კარგიანობის შეტყობა და აქედამ ნაყოფის გამოტანა—ყველა ეს გაუგებარი იყო იმ დროების საზოგადოებისათვის. თუ არ მტრობისა და ჩხუბისათვის, თუ არ ომიანობისათვის ერთი ხალხი მეორეს არ შეხვდებოდა ხოლმე.

ხოლო მოვიდა ჟამი და ქვეყნის ისტორიის სურათი სრულად გამოიცვალა. საზოგადოებამ ჰსცნო აუცილებელი საჭიროება უცხო ხალხთა ცხოვრების გაცნობისა; დაინახა რომ თავისი ბედი და უბედობა ბევრად დამოკიდებულია უცხო ხალხთა ბედსა და უბედობაზედ; დაინახა რომ ხალხთა-შორისი მისვლა-მოსვლა, ურთიერთის გაცნობა ძლიერი საშუალებაა ხალხის წინ ფეხის წადგმისათვის, ცხოვრების უკეთ მოწყობისათვის. ამაში მდგომარეობს სხვათა შორის ამ ახალის დროის ერთი შესანიშნავი ღირსებაცა. როგორც ადამიანისათვის ცალკე, ისე საზოგადოებისათვის საერთოდ სხვის მაგალითი დიდი რამ არის. ცუდი, თუ კარგი ორივ გამოსაყენებელია. ცუდს ავიცდენთ, კარგს მივითვისებთ. აქედგან სჩანს, რომ ყოველმა გაზეთმა ანუ ჟურნალმა უნდა შესაბამი ადგილი მისცეს და ღირსეული ყურადღება მიაქციოს უცხო ხალხთა ცხოვრებას და მდგომარეობას, თუ სურს სხვის მაგალითით თვით-ცნობა გაუადვილოს საზოგადოებას, ბედნიერების გზა აპოვნინოს, უბედურების მიზეზნი მოასპობინოს, იმიტომა რომ ყოველ ამისათვის მაგალითი და ცნობანი სხვათა ცხოვრებაში აუარებელია.

ამ სახით სამაგალითო და ღირს საცნობ საგნად წარმოგვიდგება სხვათა შორის უცხო ხალხთა საპოლიტიკო ცხოვრებაცა. გარდა ამისა ხალხნი და სახელმწიფონი ისეთ ნაირად არიან ერთი-ერთზედ დამოკიდებულნი, ერთი-ერთის საქმეში ჩართულნი და ჩაბმულნი, რომ ერთის საპოლიტიკო ცხოვრებას და მოძრაობას მეორისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ მხრითაც საპოლიტიკო ცხოვრების შესწავლას თავისი ღირსება და ადგილი აქვს. მაშასადამე ჩვენც უნდა მივცეთ საზოგადოებას ღონისძიება, რომლის მეოხებითაც მან უნდა გაიცნოს უცხო ხალხთა ყოფა-ცხოვრება, და ცნობიერებით თვალ-ყური ადევნოს მათს საპოლიტიკო მოძრაობასა. ამ მოვალეობის აღსასრულებლად დანიშნულია ჩვენის გაზეთის ერთი ნაწილი „უცხოეთი“.

აწინდელ საპოლიტიკო ცხოვრების მიმდინარეობას მით უფრო ადვილად ავადევნებთ თვალ-ყურს, მით უფრო სახეიროდ და მკვიდრად გამოვიყენებთ მას, რასაც ამ საგანზედ გავიგებთ და დავინახავთ, რამდენადაც ჩვენ შესწავლული გვექნება სხვა და სხვა სახელმწიფოების აგებულება, მათი საზოგადოებრივი და მთავრობითი წყობილება, მათი აწმყო და წარსული. ამ მიზეზით საჭიროდ ვრაცხთ წარვუდგინოთ მკითხველს ზოგიერთი თვალთ საჩინო ცნობა იმ სახელმწიფოებზედ, რომელთა შორის უმთავრესად მიმდინარეობს ამ ჟამად საპოლიტიკო ცხოვრება. ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ იმისთანა საგანსა, იმისთანა საჭირო ცნობას, ურომლისოთაც ჩვენის ფიქრით საყოველ-დღეო მოძრაობა პოლიტიკისა ძნელად გასაგებია და მისაწდომი.

ამ გვარის განხილვას ჩვენ ვიწყობთ ოსმალეთის სახელმწიფოდგან, რადგანაც თითქმის ამ სახელმწიფოზედ

არის ამ ჟამად მიქცეული მთელის ევროპის განსაკუთრებითი ყურადღება.

—

**ოსმალეთი.** დიდძალი ალაგი უჭირავს დედამიწაზე ოსმალეთის სახელმწიფოს. მისი სივრცე შეადგენს 103,816 ოთხ-კუთხე მილს (გეოგრაფიულს *), ამ სივრცეზე სცხოვრობს ორმოც-და-რვა მილიონზე მეტი სული (48,283,400). უმეტესი ნაწილი ამ სივრცისა მდებარეობს აზიასა და აფრიკასა, ასე რომ ევროპის ოსმალეთს ეკუთვნის მარტო 9,594 ოთხ-კუთხე მილი, რომელზედაც (რუმინია და სერბიაც რომ ზედ მივათვალოთ) იმყოფება თხუთმეტ მილიონამდე მცხოვრები (14,956,900). ოსმალეთის პირ-და-პირის მფლობელობის ქვეშ იმყოფება სივრცე 6,602 ოთხ-კ. მილი, რომელზედაც სცხოვრობს 8,506,900 სული.

აი როგორ განიყოფება ეს რიცხვი სხვა და სხვა ტომის ხალხთა შორის: ოსმალები ორ მილიონზე ცოტა მეტია (2,210,800), დანარჩენი ეკუთვნის სლავიანებს (უმეტესი ნაწილი) ე. ი. სერბიელებს და ბოლგარიელებს, შემდეგ რუმინიელებს, ალბანელებს, ბერძნებს, სომხებს, ურიებს, ბოშებს და თათრებსა.

ოსმალეთში მცხოვრები ხალხი სარწმუნოებით განიყოფება უმთავრესად ორნაწილათ, ქრისტიანები და მაჰმადიანები. ევროპიის ოსმალეთში, ბალკანიის ნახევარ-კუნძულზე, ქრისტიანნი შეადგენენ უმეტეს ნაწილს. მაჰმადიანების რიცხვი მხოლოდ ოთხ მილიონამდისინ ადის. ეს რიცხვი შესდგება როგორც ოსმალებისგან, აგრეთვე სხვა ტომის ხალხებთაგანაც (სლავიანები და ალბანიელები), რომელთა შორის ბევრმა მიიღო მაჰმადის სარწმუნოება ოსმალების ძალდატანებით და ბევრმა კი თავის ნებით, უფრო აზნაურობამა და მამულის მეპატრონეებმა, ამათ ამით დაიხსნეს თვისი უფლებანი და თვისი ქონება. ეს გამაჰმადიანებული ბატონები, ეს თავიანთ სამშობლოს მოღალატენი უფრო სასტიკად ექცევიან თავიანთ ადრინდელ მოძმე ხალხს ვიდრე თვითონ ოსმალნი. ამიტომაც მათგან არის მიქცეული მათის ქვეყნის რისხვა და შეჩვენება.

პირველად ოსმალები შევიდნენ ევროპაში მცირე აზიიდგან 1355 წ., წაართვეს ბერძნებს ქ. ადრიანოპოლი, დაიპყრეს მაკედონია, ალბანია, სერბია და 1453 წ. აიღეს სტამბოლი (კონსტანტინეპოლი). ამ წლიდგან მოყოლებული და თითქმის მეჩვიდმეტე საუკუნემდე ოსმალეთის სახელმწიფო იზდებოდა და მკვიდრად სდგამდა ფეხს ევროპაში. მაგრამ მეჩვიდმეტე საუკუნიდგან ბედმა ღალატი დაუწყო: სერბია და ეხლანდელი რუმინია (უწინდელი მოლდავია და ვლახეთი) *) თითქმის სრულებით განთავისუფლდნენ; ოსმალეთს ხელიდამ გამოეცალა საბერძნეთიც და სხვ.; 1830 წ. საფრანგეთმა წაართვა მას ალჟირი; 1840 წ ეგვიპტემ თითქმის სრულებით გაიტანა თავი. ყირიმის ომიანობაში ოსმალეთი სრულად დაიღუპებოდა საფრანგეთი და ინგლისი რომ არ მიშველებოდნენ.

ახლა გადავავლოთ თვალი ოსმალეთის შინაგან განწყობილებას და იმ საფუძვლებს, რომლებზედაც დამყარებულია მისი ძალა და გამძლეობა.

ოსმალეთში მონარხიული განუსაზღვრელი მართველობაა **) ე. ი. მთავრობითი უფლება ეკუთვნის ერთ პირს, რომელსაც უწოდებენ ხონთქარს ანუ ფადიშაჰს. ყოველისფერი, რაცკი შეეხება თითოეულის კაცის ცხოვრებას ან საზოგადო განწყობილებას დამოკიდებულია ხვანთქრის განუსაზღვრელს ნებაყოფლობაზედ. ყოველი მისი ქვეშევრდომი კაცი უნებური ყმა არის მისი და ერთიანათ, ხორცით და სულით ეკუთვნის მას. ხონთქარს განუყოფელად უპყრია საერო და სასულიერო უფლება; იგი არის ლაშქართ-მთავარი, უმაღლესი მოსამართლე და მღვდელთ-მთავარი. ხონთქრის შემდეგ პირველი საერო პირი ოსმალეთში არის ვეზირთუხუცესი, რომელსაც პირ-და-პირ ემორჩილებიან მინისტრები და არიან მისი ხელქვეითნი. შეიხ-ულ-ისლამი არის სამღვდელოების წარმომადგენელი, ულემების უფროსი. ულემები ასრულებენ ორგვარ თანამდებობას: სასულიეროს და სამსაჯულოს. თვითონ შეიხ-ულ-ისლამს კი არა აქვს არც სასულიერო და არც სამმართველო მნიშვნელობა. მისი საკუთარი დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ განმარტოს და ახსნას კანონი, როცა ამაზედ ცილი ჩამოვარდება.

ყველა უმაღლესი თანამდებობის კაცები შეადგენენ საბჭოს, რომელსაც უწოდებენ დ ი ვ ა ნ ს. ამისგარდა 1868 წ. დაარსებულია ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო  ს ა ბ ჭ ო, რომელსაც

---

*) გეოგრაფიული მილი შვიდი ვერსტია.

*) სერბია და რუმინია ამ ჟამად ოსმალეთის მოხარკე სახელმწიფონი არიან: ვალდებულნი არიან აძლიონ ოსმალეთს ყოველ წლიწადს დადებული გარდასახადი. მხოლოდ ამაში მდგომარეობს მათი დამოკიდებულობა ოსმალეთზედ, სხვაფრივ კი სრულებით თავისუფალნი არიან.

**) ეხლა ოსმალეთში გამოცხადებულია ხონთქარის ნებით, რომლის ძალითაც მის ხალხს ეძლევა კონსტიტუცია ე. ი. იმ რიგი მმართველობა (სხვა ევროპიელის სახელმწიფოების მსგავსად), რომლითაც ხონთქრის თავისუფალ ნებას ეძლევა საზღვარი, ასე რომ ერთი შესანიშნავი ნაწილი ფადიშაჰის უფლებისა უნდა მიეცეს თვითონ ხალხს. ეს ახალი წესი გამოცხადებულია და ჯერ სუფევს მხოლოდ ქაღალდზედ.

განომდებლობითი უფლება აქვს მინიჭებული, ესე იგი, კანონისა და წესდებულების დადგენის უფლება. მისთა მწევართა ირჩევს და ნიშნავს თვითონ ხონთქარი.

ოსმალეთის სახელმწიფო დაყოფილია რამდენიმე ვილაიეტებათ, იმის მსგავსად როგორც საფრანგეთი დეპარტამენტებათ ან რუსეთი გუბერნიებათ. თითო ვილაიეტის უფროსი არის ვალი (გენერალ-გუბერნატორი). ვილაიეტი შესდგება რამდენიმე სანჯაყიდგან (უეზდები), რომელთა უფროსებს უწოდებენ მუტესარიფებს. თითო სანჯაყი თავის მხრით შესდგება რამდენიმე ყაზასიდგან, რომლის გამგებელი არის კაიმაკამი.

რასაკვირველია, ეს ზემოხსენებული განწყობილება არ შეეხება იმ ქვეყნებს, რომელნიც მხოლოდ ხარჯს აძლევენ ოსმალეთს და სხვაფრივ კი სრულებით თავისუფალნი არიან. ამათ თავიანთ განწყობილება აქვთ.

ოსმალეთის შემოსავალი ერთიანად იქნება 160 მილიონი მანეთი, გასავალი კი 190 მილიონზე მეტია; ასე რომ ყოველ წლიწადს აკლდება 30 მილიონი მანეთი და ამისგამო განუწყვეტელ ვალშია ჩავარდნილი. 160 მილიონიდგან მარტო ვალების სარგებელში ოსმალეთს ეხარჯება 100 მილიონამდისინ და შინ სახარჯოთ რჩება მარტო 60 მილიონი.

აქედამ სჩანს, რომ საშინელს ვალში უნდა იყოს ჩავარდნილი ოსმალოთა სახელმწიფო. მაგალითებრ, ორის წლის წინეთ მისი ვალი იყო 1,500 მილიონი მანეთი. ახლა იფიქრეთ როდის უნდა ამ უბედურმა გადაწყვიტოს ამოდენა ვალი? სახელმწიფოს, რომელიც ამისთანა მდგომარეობაშია ჩავარდნილი, ცოტაღა უკლის გაკოტრებამდე და დიდი ხანია გაკოტრდებოდა კიდეც ევროპიელი ბანკირები რომ არ მოშველებოდნენ. ესენი თითქმის ნახევარ ფასად ყიდულობდნენ ოსმალეთის თამასუქებს და როგორც იყო ასაღებდნენ ბირჟაზე. უბედურება ის არის, რომ ეს უშველებელი ვალი სრულებით უნაყოფოთ იხარჯება და არა ვითარი წარმოება არა აქვს ხალხის სიკეთისა და კეთილ-მდგომარეობისათვის. უმეტესი ნაწილი ამ ფულისა მიდის სულთანის არამხანაზე (гаремъ), და სხვა და სხვა მოხელეთა ჯიბეში.

ოსმალეთის უფლება დამყარებულია, რასაკვირველია, სამხედრო ძალაზე, რომელიც ამ რიგად არის გამართული: 1869 წ. დადებულის კანონით ყოველი სრული წლოვანი მაჰმადიანი ვალდებულია სამხედრო სამსახურისა. ლაშქარში იგი უნდა ითვლებოდეს ოცი წლიწადი: ოთხი წლიწადი მოქმედ ლაშქარში (ნიზამი), ორი წლიწადი რეზერვში (რედიფი) და რვა წლიწადი ლანდშტურმში, ე. ი. იმ ნაწილში, რომელიც სამსახურიდგან დათხოვნილია და მხოლოდ ომიანობის დროს გამოიწვევა.

მშვიდობიანობის დროს ოსმალეთის ლაშქრის რიცხვს შეადგენს 157,667 კაცი. ომიანობის დროს კი ოსმალეთს გამოჰყავს ლაშქარით 586,100 კაცი. ამას უნდა მიუმატოთ სამხედრო ხომალდის ჯარი, რომელიც შეადგენს 50,000 კაცს ომიანობის დროს.

დიდ სამწუხარო სურათს წარმოგვიდგენს ოსმალეთის შინაგანი ყოფა-ცხოვრება. თუმცა ბუნება ოსმალეთში მდიდარია და უხვად აძლევს მას ყოველისფერის მოსავალს, მაგრამ ხალხი კი საშინელ სიღარიბეში და სიგლახაკეშია ჩავარდნილი. ეს გარემოება ჩვენის აზრით დიდათ შესანიშნავია და ღირს რომ შევუდგეთ ცოტაოდნათ დაწვრილებულ მოთხრობას, მით უფრო რომ ესლანდელი სლავიანების არეულობა გაუგებარი დარჩება თუ არ გამოვიკვლიეთ ოსმალეთის ეკონომიური და საზოგადოებრივი მდგომარეობა. ჩვენ გვექნება მხედველობაში ნამეტნავად ბალკანის ნახევარ-კუნძული, რადგანაც მხოლოდ აქ მცხოვრები ხალხი აძლევს ოსმალეთს იმ მნიშვნელობას, რომელიც მას აქვს ევროპიის ისტორიაში ამ უკანასკნელს დროს.

ავიღოთ მაგალითად ჰერცოგოვინა, ის ნაწილი ბალკანის ნახევარ-კუნძულისა, რომელშიაც პირველად ასტყდა სლავიანების აჯანყება 1875 წ., რომლიდამაც გადაედვა ეგ აჯანყება თითქმის მთელ ნახევარ-კუნძულს და რომელმაც წამოაყენა ესლანდელი პოლიტიკური არეულობა ევროპაში.

ჰერცოგოვინა არის სანჯაყი ბოსნიის ვილაიეტისა. მისნი მკვიდრნი მცხოვრებნი სერბიელნი არიან. უმეტესი ნაწილი ქრისტეს სარწმუნოებისაა და ზოგნი კი მაჰმადიანები. ეს მაჰმადიანები არიან შთამომავალნი იმ აზნაურშვილთაგან, რომელთაც, როგორც ზემოდ იყო მოხსენებული, ჰერცოგოვინის დამორჩილებისა და აოხრების დროს, მიიღეს მაჰმადიანობა და მითი მოიგეს თავიანთი მამულები, ქონება და აღრინდელი უფლებანი.

ყოველ ქვეყანაში ხალხის კეთილ-მდგომარეობა, მისი ეკონომიური ცხოვრება ბევრად დამყარებულია მასზედ თუ როგორ არის განწყობილი მცხოვრებთა შორის მიწის მფლობელობა. დავხედოთ რა გვარად არის მოწყობილი ჰერცოგოვინაში ეს მიწის მფლობელობა. მაჰმადიანთა სასულიერო წიგნში, რომელსაც ყორანს უწოდებენ, გამოხატულია ის კანონი, რომლის ძალითაც მიწა ერთიანად ალლაჰის საკუთრებაა და იგი ვისაც სურს, იმას ჩააბარებს მოსამსახურებლად. ამის დაგვარად მიწის მფლობელობის უფლება, მაჰმადიანის კანონის ძალით, მინიჭებული აქვს ხონთქარს, რადგანც დედა-მიწაზედ ალლაჰის წარმომადგენელი მარტო იგია. ამის გამო განუსაზღვრელი პატრონი მთელის ოსმალეთის მიწისა მარტო ხონთქარია და თუ კერძო პირთ ხელთ უჭირავთ მარტო იმისათვის, რომ დროებით იხმარონ და სამუდამოდ თავი-

სათ არ გამოელოდნენ. ამ შემთხვევაში ხონთქარის ნებას წინ ვერა დაუდგებარა. როცა სურს, ერთს წაართმევს მიწას და გადასცემს მეორესა, ან ერთსაც ხელ ცარიელს დასვამს და მეორესაც. ამ გვარს მიწიერს წყობილებას ის სამწუხარო შედეგი მოსდევს, რომ მიწის დროებით მხმარებელს არავითარი სარფა და ხალისი არა აქვს ბევრი შრომა გასწიოს მამულის სამკვიდროდ გაკეთებისათვის, უკეთ შემუშავებისათვის. მემამულეს ხვალის იმედი დაკარგული აქვს: დღეს ასეა, ხვალე ღმერთმა უწყის რა იქნებაო.

აი ამ საგანზედ რა შეუნიშნავს ჰერცოგოვინაში ერთს მწერალსა. იგი მოგვითხრობს:

„როდესაც ჰერცოგოვინის უფროსებმა მიიღეს მაჰმადის სარწმუნოება, ხონთქარმა მოჰამედმა II დაურიგა მათ თითქმის ერთიანად რაც მიწა იყო. ხალხსკი, რომელმაც არ ინდომა ქრისტიანობის ღალატი, მიწის საკუთრება ჩამოერთო. იგი დარჩა თვის მიწაზედ მოიჯარადრეთ, მას უნდა ემოქმედებინა იჯარასავით აღებული მიწა, მიწის პატრონისათვის ეძლია ხარჯი და მთავრობისათვის მოსავლის მეათედი ნაწილი. თუმცა ნამდვილი პატრონ-ყმობა ჰერცოგოვინაში არასდროს არა ყოფილა, მაგრამ ეკონომიურის მხრით ჰერცოგოვინის რაია (გლეხი) სრულიად ყმა იყო მიწის პატრონისა, რომელსაც აღას ეძახიან. რაიას სრული უფლება ჰქონდა ერთის ადგილისათვის დაენებებინა თავი და მეორეზე გადასულიყო. მაგრამ ეს უფლება მისთვის სრულებით ფუჭი იყო. რადგანაც ყოველგან ერთრიგი მოწყობილობა დახვდებოდა ხოლმე და აღისა და ადგილის გამოცვლით მისი ბედი არ იცვლებოდა. გარდა ამისა მიწის მეპატრონეებს პირობა ჰქონდათ შეკრული, რომ არ მიეღოთ იგი, ვინც უკმაყოფილობით ერთს აღას თავს ანებებდა და მეორესთან მიდიოდა. რაიას არავითარი ღონისძიება არა ჰქონდა რომ ამ უბედურ მდგომარეობას როგორმე გადარჩენოდა, რადგანაც არ იყო მისთვის დანიშნული სახელმწიფო მიწა სამუდამო სამფლობელოდ. თუ ქრისტიანი როგორმე მოახერხებდა და ჩაიგდებდა ხელში უქმს მიწას, რომელიც სახელმწიფოს საკუთრება იყო, ანუ სადმე ტყეში ახოს გამოიღებდა და საცხოვრებელს გაიკეთებდა, მაშინვე მის მეზობელი აღა დაიჩემებდა ამ მიწას და თვით მოამაგეს კი ხდიდა თავის მოიჯარადრეთ (КМЕТЪ). ოსმალეთის მთავრობა არასდროს არ ყოფილა იმდენად შემძლე, რომ შუამდგომლობა გაეწია მოიჯარადრის და აღის შორის, თავის მფარველობის ქვეშ მიეღო მიწის მოამაგის შრომა და მით დაეხსნა იგი ადგილობრივის თავად-აზნაურობის მძლავრობისა და ტაცებისაგან. ეს თავად-აზნაურობა რასაც უნდა იმას მოქმედობს. ჩივილი ფაშასთან სრულებით უნაყოფოა და რაიის სამწუხარო მდგომარეობას არა ვითარს შეღავათს არ აძლევს. მისი სიცოცხლე და ქონება აღის ხელშია.

ამგვარი განწყობილება მამულიანობის უფლებისა ძალიან მავნებელია როგორც სახელმწიფოსათვის, აგრეთვე ხალხის ეკონომიურის წარმატებისათვის. ჰერცოგოვინას საუბედუროთ მიწაც ნაყოფიერი არა აქვს. ეგეც რომ არ იყოს, თუ კაცი თავისუფალი და დარწმუნებული არ არის, რომ მისი საკუთარის ოფლით ნაშრომი მისია, ხელუხლებლად თვით მოიხმარებს და სხვა არ შეეცილება, იმისი ხალისი შრომისათვის მკვდარია, იმისი მეურნეობა წინ ფეხ-წაუდგმელია, უკეთილოა. ჰერცოგოვინის რაიამ კარგათ იცის, რომ იგი თავის ქვეყანაში მხოლოდ მუშა ხარია. კარგად იცის რომ რაგინდ ჯაფა გასწიოს და სულიც გააგდებინოს მაინც ასალ-ასალი გარდასახადი უარესს დღეს დააყრის. ამის გამოისობით ყოველს ჰერცოგოვინელს მარტო ის აქვს ფიქრად, რომ თავისის ოჯახის სამყოფი მოსავალი მოიყვანოს და მხოლოდ მარტო ამისათვის ამოქმედოს მიწა.

მიწის უკეთ შემუშავება, მისი გაკეთება, განაყოფიერება ამისათვის ოფლის ღვრა, მეტის შეძენისათვის შრომა იმას გულიდამ ამოღებული აქვს.

ხვანთქრის მთავრობას არავითარი ღონისძიება არ მიუღია, რომ როგორმე შესწყვიტოს ეს ქვეყნის დასაღუპავი უწესოება მაჰმადიანის აღის და ქრისტიანის რაიის შორის დამით ბრძოლას და ვაი ვაგლახს ბოლო მოუღოს.

მთავრობა იქმნება კიდეც ძალიან ხუჭავდეს თვალს, რომ ურთიერთის მტრობით ჰერცოგოვინამ ძალა გამოილიოს და მით უფრო მტკიცედ და ამასთანავე უხარჯოდ და უიარაღოდ დაამყარებინოს შიგ მთავრობის უფლება. საზოგადოდ მთელს ოსმალეთში ერთი უცნაური წესიც არის მაჰმადიანთ-მამულის მეპატრონეთ სასარგებლოდ. რადგანაც მიწას სახელმწიფო ხარჯი ადევს, მაჰმადიანები აი რა საშუალებას ხმარობენ, რომ ეგ ხარჯი თავიდამ აიცილონ: რომელსამე მეჩითს შესწირავენ ხოლმე თავის მამულს და რადგანაც მამული ამით წმინდანის კუთვნილებათ შეიქმნება, ამისგამო იგი თავისუფალია ყოველის გარდასახადის და ხარჯისაგან, თუმცა კი მამულს ისევ თვით შემწირველი ხმარობს თავის სასარგებლოდ და არავის არასფერში წილს არ უდებს. ამ რიგად შეწირულს მამულებს ჰქვიან „ვაკუფ“. თითქმის მთელი მესამედი ოსმალეთის მიწებისა ვაკუფად არის დადებული. ამ მიწებიდამ არავითარი შემოსავალი არა აქვს სახელმწიფოს. რაც რამ მიწის ხარჯია სახელმწიფოში აწევს ზურგზე იმავე რაიას.

მაჰმადის კანონის ძალით მეათედი ნაწილი მოსავლის ხაზინაში შედის. *) აი მაგალითად როგორ ჰკრე-

*) ეს მეათედი (ათის-თავი) თან-და-თან მატულობს და ეხლა თითქმის მეოთხედამდე ასულია.

ფენ ამ ხარჯსა. ეს გარდასახადი, როგორც ყოველივე სხვა ხარჯი ოსმალეთში კერძო პირებს აქვსთ აღებული იჯარით. გუთნის-დედანი ვალდებულ არიან მოაგროვონ ერთიანათ ჭირნახული ერთს ადგილს, მინდორშივე დააწყონ და ისე შეინახონ ვიდრე ხაზინის მოხელე თუ მოიჯარადარე მოვა და წაიღებს მეათედ ნაწილს. ეს ასეა დაწესებული, რომ მოტყუებას ადგილი არ ჰქონდეს. ვიდრე მოხელე მოვა ჭირნახულს ან წვიმა დაასველებს, ან საქონელი აათრევს, ან ფრინველი შეჭამს. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ვიდრე ხაზინა მოვა და წაიღებს თავის მეათედს, ჭირნახულს თითქმის ნახევარი ფასი აკლდება.

---

## ქალაქის სცენები

ერთის დღის აღწერისა 1876 წ.

### I

(ქუჩაში ორი დედაკაცი ერთმანეთს შეეყრებიან).

— მშვიდობა შენი ნახვა, ბატონჯან, როგორა ბძანდები, ხომ მშვიდობითა ხარ? რახანია არ მინახევხარ. ასეთი მენატრებოდი, ვიძახდი ნეტავი ერთი ბატონი ვნახო მეთქი.

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეს და კეთილი, ჩემო თინათინ! მზის ცქერით გამაძღარიმც ყოფილხარ და დაგიბეროს ღმერთმა ი შენი ყვავილები! მე რაღა ყოფაში ვარ, რომ იცოდე, ჩემო დაზე უსაყვარელესო დაო და თვალის სინათლევ!? დღე მოსვენება აღარა მაქვს და ღამე ძილი. ფიქრისაგან ჭკუაზე აღარა ვარ; ასეთი ნაღველი და ვარამი დამაწვა, რომ ღმერთო შეგცოდე, სულის წაწყმენდისა არ მეშინოდეს, წყალს მივეცემოდი.

— რა ამბავია, ბატონჯან, ავათ ხომ არავინ გაგხდომია? გული შეიმაგრე დედაკაცო.

— ავათ კი არავინ გამხდომია, ვენაცვალე ღვთის მადლსა; მაგრამ ავათმყოფობაზე უარესი ვარამი მაწუხებს. აბა შენ იფიქრე, ერთი შვილის მაყურებელი რა გულით უნდა ვიჯდე: ამბობენ, ახლა კარ-და-კარ უნდა იარონო და ბიჭები სალდათათ უნდა ჩასწერონო. აბა რა დღე მადგება ამ მოხუცებულობის დროსა!

— იჰ, დედაშვილობას! ჭორებს ყურს ნუ უგდებ, ტყუილი ამბავია ეგ ამბავი. შენგან არ მიკვირს, ჭკვიანი დედაკაცი ხარ, ეგ რა დასაჯერებელია! მოხუცებული დედაკაცი ხარ, განა არ გეხსომება მაგისთანა ჭორები რამდენჯერ მოუგონიათ და ყოველთვის კი გამტყუნებულა. მე კი არ მოვსწრებივარ და გაგონებით კი გამიგონია, რომ ერმოლოვის დროს ლაპარაკი ყოფილა, სალდათი უნდა გაიყვანონო.

— ეგ კარგა არ მახსოვს.

— ვიშ ქა, ერმოლოვის დროსა!

— ჰო, და მერე შვილო, თქვი.

— მერე ისა, რომ ქალაქის ხალხი და ამქრობა ამდგარა ერთ დღესა, თოფ-იარაღით შეკმაზულა და გასულა ერმოლოვის სახლის წინა. ერმოლოვს უკითხავს, ეს რა ამბავიაო, და ხალხს უთქვამს: ჩვენი მეფეების დროს ასე ვიცოდითო, როცა ომი იქნებოდა, ქუდზე კაცი გამოვიდოდითო და კვლავაც მზათა ვართო; თუ ომი იყოს სადმე, ასე გამოვალთო. სალდათები არა ვართ, მარა ვართო? სალდათის გაყვანა რათ გინდათო? ერმოლოვს თურმე უთქვამს: წადით დამშვიდდით, თქვენ თქვენ საქმეზე იყავითო. საქართველოს ხალხი მეომარი ხალხიაო და სალდათათ თავის დღეშიაც არ გავიყვანთო, რადგანაცაო რომაო ყოველთვის თითონვე გამოვა ომშიო და ვაჟ-კაცობა კარგი იცისო.

— ღმერთმა კეთილი არ დაულიოს. ეგრე, ეგრე ახლა მაგონდება.

— ხომ გეხსომება ერმოლოვი? იმისი სიტყვა ხომ იცი რა სიტყვაა. დიდი გამოჩენილი მთავარ-მმართებელი იყოვო, ასე რომ იმისი სიტყვა თავის დღეში ძირს არც დავარდნილა და არც დავარდება. ხომ გაგიგონია ხემწიფესთან მიღებული კაცი ყოფილა?

— დიახ გამიგონია და მახსოვს კიდეცა. ასეთი წამოსადეგი კაცი იყო, რომ მტრის სანატრელი.

— ჰო და ტყუილია სალდათის გაყვანა და ნურც ინაღვლი, ღმერთი მოწყალეა.

— ღმერთი მუდამ მოწყალეა, ვენაცვალე იმის მადლსა, მაგრამ სანამ ეს საქმე არ გათავდება, მე კი გული გულის ადგილს აღარ მექნება. შენ შვილო მეუბნები, ტყუილიაო; მაგრამ თუ ტყუილია, ე ხალხი მაშ რას ლაპარაკობს, რომ კარ-და-კარ გაწერა იქნებაო და სუყველა დიდი და პატარა ახალ დავთარში უნდა ჩავარდესო. ეს გულს მიხეთქამს. ეს რა დავთარია, რომ ახლა ეს ახალი დავთარიც შემოუღიათ? ერთი დავთარი ხარჯის დავთარია ქალაქისა; ჩაწერილია ჩემი შვილი და გათავებულია, ე რაღა დავთარია?

— ეგ არ გამიგონია.

— როგორ არა. დავთარი უნდა ჩამოატარონ და ძუძუ-მწოვარიდამ მოყოლებული საპყარ მოხუ-

ცებულამდინ სულ უნდა ჩასწერონო. სულ წვრილათ უნდა ჩასწერონო: ქალი იყოს თუნდა კაცი; რა ხელობისაა, რა ქონება აქვს, დედ-მამა ჰყავს, თუ დედამთილ-მამამთილი, სიდედრ-სიმამრი, ქვისლი,—ერთის სიტყვით მეშვიდე თაობამდის რაც ნათესაობა ჰყავს, ისიც კი უნდა ჩასწერონ.

— ახლა მითომ ეგ რაღა საჭიროაო, რომ მეშვიდე თაობამდინ ყველა უნდა ჩასწერონო?

—ღმერთმა ნუ იცის ეხლანდელის დროსა და ქამის ამბავი! ზოგს ცოლი ჰყავს გაქცეული, ზოგს ქმარი, ზოგს შვილი და მითომ ესენი სულ უნდა გამოჩნდეს და გამოცხადდესო; მაგრამ უფრო მეტადრე იმისთვისაო, რომ სასალდათო ბიჭები და ვაჟ-კაცები მოსძებნონო.

— დედაშვილობამ სულ ტყუილი ჭორებია და უბრალოთ კიდეც იმას შეუშინებიხარ. აგრე კი არა, აი ასეა; ახლა მივხვდი, რომ სწორეთ არ შეგიტყვია. ქალაქში ახალი უფროსი გამოუგზავნიათ, რომ ყველა ვითარება შეიტყოს. კაცებით უნდა მოიაროს ყველას სახლი, დიდისაც, პატარისაც. ყველას სახლი სულ უნდა გაჩხრიკოს, აფურ-ჩუფურიც კი უნდა გაჩხრიკოს და გამოიძიოს. უნდა გამოიძიოს და შეიტყოს, ვის სად რა საჩივარი ჰქონია, ან არზა მიუცია სადმე, ან სასამართლოში შესულა, ან პოლიციაში,—ყველა დაწერილებით უნდა გამოიძიოსო და სამართალი თავისის ხელით გადასჭრასო.

— ეგ კარგი საქმე ყოფილა! აი ეგ კარგი და ღვთის მოსაწონი საქმეა. ღმერთმა გიშველოს, ჩემო შვილო და თვალის ჩინო, რომ გული დამიმშვიდე და შვება მომეცი. ღმერთმა სამაგიერო გადგიხადოს! სწორეთ კი ეგრეაო?

— სწორეთ, დედაშვილობამა! თორემ ნახამ ამ ორიოდ დღეში კიდეც დაივლის ქალაქსაო. მოსკოვიდამ გამოუგზავნიათ.

— კეთილი იყოს იმისი ფეხი! რამდენი ატირებული დედა არის და დაცემული ოჯახი! მშვიდობით ჩემო დაო.

— მშვიდობით, ბატონჯან, ღმერთმა გული დაგიმშვიდოს!

(შემდეგი იქნება)

ანჩისხატის-უბნელი.

---

„კარგი რამ მჭირდეს გიკვირდეს, ავი რასაკვირველია“

---

აი ესეც ახალი გაზეთი ჩვენის ქვეყნის სახელითა. ძლივს არ დაიბადა!.. მაგრამ რაღაც უგემური კი გამოდის. ფხა არა აქვს, ფხა!.. მოჰყოლიან, ბატონებო, ეს მეცნიერებაო, ეს ცხოვრებაო, ეს ისაო, ეს ესაო. ვჰსთქვათ რომ მართლაც მეცნიერი იყოს (ტყუის კი თქვენმა მზემ), ვჰსთქვათ, რომ ცხოვრების ამწონიც და დამწონიცა,—ვითომ მაგით რაო? არა ვის წინა თამაშობთ მასლაყებსა? მაგითი გინდათ თვალი აგვიბათ განა? მაშ კარგათ გიცვნიათ ქართველები. მოგესყვით, ბატონებო, ასეთს კორიანტელს აგიყენებთ, რომ თქვენის საქმისა ვერც თავი გაიგოთ და ვერც ბოლო. ვითომ ბევრი ქექა და თავის-ტკენა დაგვჭირდება თუ!.. ამის მეტი ხომ არა დაგვეხარჯებარა, რომ ეგ თქვენი „ივერიას“ უკუღმა წავაკითხოთ საზოგადოებასა. ეგ სახელი უკუღმა რომ წავიკითხოთ „აირევი“ გამოვა. აი აგერითო გზა და კვალი!.. კაი სახელი დაგირქმევიათ, ო თქვენმა მზემ!

რაო? მეცნიერება და ცხოვრებაო?!.. აი მეხი კი დაგეცათ. გაზეთიო მეცნიერებისა და ცხოვრების შორის შუამავალიაო. მაჭანკალი გეთქოთ. არა, ჯერ ერთი ეს მითხარით: ჩვენს უფერულს, უგემურს, ზლაზვნით მოარულს ცხოვრებას რა აქვს დასაბარებელი მეცნიერებასთან, რომ მოციქული აგიჩენიათ. ან თვითონ მეცნიერებას ნუ თუ უჩვენოდ ვეღარ გაუძლია, ნუ თუ უჩვენოდ ფეხი წინ ვერ წაუდგამს, რომ მის მხრითაც შუამავლის მოგზავნა საჭიროდ დაგინახავთ. ჩვენს ცხოვრებას მეცნიერებასთან რა ხელი აქვს და მეცნიერებას ჩვენს ცხოვრებასთან? ვითომ აქამომდე, რომ ესენი უმძრახად იყვნენ და ურთმანეთოდ სუფევდნენ—რა ცუდი იყო, რა დაგვაკლდა? არაფერი, თქვენმა მზემ. მაშ ისე რა გაჭირებია ან მეცნიერებას, ან ცხოვრებას, რომ ერთმანეთთან მოციქულის მიგზავნა დასჭირებიათ და ამ მოციქულათ ამოურჩევიათ ეს ახალი გაზეთი. მაგრამ ვინ იცის? იქნება ერთს მეორის ვალი ედოს, იქნება ეხლა დრო მოვიდა გადახდისა და ვიდრე ისტორიის წინაშე განიბჭობიან, სურთ რომ მოციქულის პირით როგორმე მოშველდნენ? იქნება თვითონ ცხოვრებაც ადამიანისა სესხი და ვალი იყოს? თუ ეგრეა, ჩვენ ქართველებს ათადამ ბაბადამ მაგ სესხისა და ვალის მეტი არა გვიკეთებიარა? გვიღია სესხიცა და გვიხდია ვალიცა. ეგ დიდის ხნის ამბავია, მეტყვი, მკითხველო! მაშინდელია, როცა ჩვენი ცხოვრება ჩვენს მხრებზედ ეყუდა; როცა ამ მძიმე ტვირთიდამ მხარის გამოცლა ჩვენში სირცხვილი ყოფილა. ეხლაო? ეხლა სესხია ჩვენი ცხოვრება ყველასათვის და ვალია თუ არა ვისთვის მე — ეგ კი ღმერთმა იცის.

შორს წავედი. რაზედ დავიწყე ლაპარაკი და რაში გავები. ქართველი ვარ და ტიტინი მიყვარს. შემინდეთ მეტი სიტყვა.

გაზეთმაო მეცნიერების შენობისათვის ცხოვრებისაგან მოგროვილი ქვა-კირი უნდა ზიდოსო და იქიდამ კი-

დეე, დედა-აზრები უნდა გადმოატანოს ცხოვრებაშიო, ნეტა რას მიჰქარავთ!.. მაშ ჩვენი ცხოვრება ქურასანა ყოფილა და თქვენი გაზეთი ტვირთთა მზიდველი სახედარი და სხვა არა რა? ეგ ეგრეც რომ იყოს, რად გიტკენიათ თავი, მაგოდენა ტვირთი რად აგიკიდნიათ? თარში ერთი: ან უნდა გვაჩვენოთ რომ ღონივრები ვართო, შემოგვხედეთ რამოდენა ტვირთსა ვზიდავთო, ან გინდათ დაგვანახოთ, რომ გაზეთი ტვირთია და არა ქიიცი, შრომაა და არა ტულუმტობა, საქმეა და არა მასხარაობა. ვითომ თქვენ მართლა მეცნიერების კარი უნდა გაგვიღოთ?.. თუ ეგ მაგრე ადვილი იყოს, ვითომ ჩვენ უთქვენოდაც მაგას არ გიქმოდით?.. მეცნიერება სალაროა, სადაც აწყვია უკეთესი განძი ადამიანის უკეთესის ჭკვითა და გრძნობით მოპოვებული; იგი უდიდესი ტაძარია, სადაც დაყუდებულია დიდებული ხატი განათლებისა, ადამიანის ჭკვითა და გულით მეცნიერების თვალებით შეჭედილი, სადაც განუქრობლად ანთია უმშვენიერესი ხომლი ადამიანის ჭკვითა და სულით ანთებულის ჭეშმარიტებისა. თქვენ კი, ამ უწმინდეს ტაძარში თქვენი გაზეთი—ეგ ტვირთთა მზიდველი სახედარი უნდა შეიყვანოთ?!.. ფიცი მწამს და მეშინიან ბოლოს არ გამაკვირვოთ.

ფიცს მალე ვიწამებთ ხოლმე, იმიტომ-რომ გულჩჩვილნი ვართ და მალე დამჯერნი, მაგრამ ბოლო-კი ყოველთვის გვაკვირვებს, იმიტომ-რომ უბედურნი ვართ; ყოველი ჩვენი უკეთესი იმედი მტვრად აუგვია ამ ულმობელს ქვეყნის უკუღმართობას და ცხოვრების მძლავრე წყალთა დინებას წაულამავს, წაულექნია. ვჰსტირით და ვალალებთ რომ ეს ასრე მოხდება ხოლმე და როცა ღრმად ჩავფიქრდებით, ის კი აღარ გვიკვირს, რომ უბედურნი ვართ, მარტო ის გვიკვირს როგორღა ვართ ცოცხალნი შაბაშ, ქართველთ გამძლეობას!..

ნუ დამიღონდი, მკითხველო! რა ვქნა, სიცილით ვიწყობ და გლოვით ვათავებ ხოლმე. სიცილი და გლოვა ვითომ და-ძმანი არ არიან? ვითომ ხელი-ხელ გაყრილნი არ დაიარებიან იმ მუშტის-კრივში, რომელიც არსებობის ბრძოლისათვის დღე ყოველ გამართულია და რომელსაც ცხოვრებას ეძახიან? ორ პირია, ბატონო, ცხოვრება: როცა ერთი პირი უცინის, მეორე უტირის. ნუ დამიღონდი. ავყვეთ კიდევ ამ ჩვენს ახალს გაზეთსა. თუ ეგრეა დაწყებული, დეე სიცილ-ტირილმა, ამ და-ძმამ გვდიოს ჩვენ ბოლომდისა.

მოჰყოლია ეს ახალი გაზეთი და ეგერია; ჩვენ არ ვეკადრებით ადამიანის შეურაცხ-ყოფასაო. ნუ იკადრებთ, თუ გიყვარდეთ. განა ქართველები არა ხართ? ვაი თქვენს ლხენასა, თუ ეგრეა. და თუ ქართველები ხართ, გული გაგვიმდებთ, რომ არ იმასხარავთ!.. ყოველი წესი, ჩემო საყვარელნო, პაწიწას ჰგავს, თუ კი ერთი წვერი შემოურიდგა, გათავდა კიდეც—სულ ბოლომდე რღვევით წავა. ეს კარგად დაიხსომეთ და ჩაიჭდიეთ გულში.

ეს ადამიანის უფლებაო, ეს ზნეობითი კანონიო!.. დასწყევლოთ ღმერთმა, რეებს არ მოიგონებენ კაცის მაცდურებისათვის! გვიხსენ, უკუღმართო წუთო სოფელო, ამ ბორიტებისაგან! ბევრი ჭავრი დატრიალებულა ჩვენს თავზედ და ამისთანა კი ჯერ არც ერთხელ: რაებს ბოდვენ!.. ახლა გინდათ ეგ ვალიც დაგვადოთ კისერზედ, რომ კაცის უფლებას, ზნეობითს კანონს საყარაულო გავუმართოთ. ცოტა ვალი გვაქვს, რომ ეგეც ზედ არ დავართოთ. ამ საადგილ-მამულო ბანკებს გი გადურჩით, რომ მაგაებისათვის მოვიცალოთ! თუნდ ეგეც არ იყოს, მაშ მასხარაობას ქვეყანაზედ ადგილი აღარ ჰქონია. მაშ ადამიანმა რით უნდა მოიშოს გულიდამ ყოველ ცისმარის დღის ვაგლახებს! რით უნდა გაართოს გული! და თუ მასხარაობას ადგილი აქვს, რაზედ და ვისზედ იმასხარებთ, თუ არა დამანზედ, თუ არ ჩვენს მოძმეზედა? დავიჯეროთ, რომ თქვენ აქ ფეხი არ წაგისხლტებათ და ადამიანის უფლებას და ზნეობითსა კანონსა თქვენ ცოტად თუ ბევრად არ დაარღვევთ? პაწიწა გასხოლდეთ, პაწიწა! მაგრამ რა? მივიხვდით, მიგიხვდით თქვენს ოინბაზობას. დასცეთ, დასცეთ შიშით რა სოროში შემძვრა დაბადებისვე უმალ ეს „ივერია“? თუმცა სოროში მიმალეთ თავი, კუდი კი გარედ დაგრჩათ. არ ვიკადრებთო! ეს კაცის უფლებაო, ეს ზნეობითი კანონიო! დამეკარგენით!.. თქვენ კარგად იცით რომ თქვენს გაზეთს გამოხრეკი აუჩნდება ვინმე. უამისოდ გაზეთი უსულოა, უფეროა, ულონოა. რადგანაც თქვენ თქვენის თავის იმედი არა გაქვსთ, რომ თქვენს მოპირდაპირეს სიტყვა შეუბრუნოთ, თვალი გაუსწოროთ, შიშით და სირცხვილით ხმას გაიკმენდთ და იტყვით: არა ვკადრულობთო. თუ ეგრეა ასე მოუხჩოლებთ ამ თქვენს „ბერთივით რგალს“ რედაქტორსა, ასე მოუყუჟებთ, რომ ადლის და თითონვე გამოძვრეს სოროდამა. აბა სეირი მაშინ იქნება აი! აბა მაშინ ვიცინებთ და ვიხარხარებთ! ჩვენს უგემურს ცხოვრებაში ამის მეტი არც გვინდა. ჩვენ ქართველები ვართ, ბედს ჩვენთვის გული არაფერზედ არ აუსრულებია, ამიტომაც ზოგჯერ ცოტასაც ვიმყოფინებთ ხოლმე.

ადამიანის უფლების დარღვევაო!.. ვაი რა მოუგონიათ! რა გაბერილი სიტყვაა!.. რამოდენი კალთები აქვს! რასაც გინდა, ქვეშ იმას შეაფარებ. აი, აი, აი!. ახლა მაგ ქანდარაზედ რომ შემსხდარხართ, ვითომ ფეხს მოიკიდებთ და თავ და ყირა ძირს არ დაეშვებით? ერთი მითხარით, თქვენ ადამიანები ხართ, თუ არა? თუ ადამიანები ხართ, „არა რა ადამიანური თქვენ არ უნდა გეუცხოებოდეთ.“ ვითომ თქვენ უარ-ჰყოფთ ვნებათა ღელვის მაღლმორჯობასა; ვითომ უმიზეზოდ დაბრეცილი და

აწოწვილი თავ-მოყვარეობა ადამიანისა—არაფრად მიგაჩნიათ; ვითომ ადამიანის შური, მტრობა, შურის-ძიება თქვენ დაგიმორჩილებიათ; ვითომ გაწუწკებულის გულის ლაქლაქობის სენი—ადამიანის თვისებათ არ გიცვნიათ! დავიჯეროთ რომ ესენი ყველა ერთად და თვითეულად ცალკე გულიდამ სამუდამოდ გაგიდევნიათ? მაშ ადამიანობისა საერთოდ და ქართველობისა საკუთრივ რაღა დაგრჩენიათ? აი თქვე ანგარების მოყვარენო! თქვე ადამიანის უარ-მყოფელნო, თქვე ქართველობის მოღალატენო! მიგიხვდით, მიგიხვდით. რაც ადამიანობის, ქართველობის უბედურებას შეადგენს, იქიდამ თავს ისხლეტთ და რაც სიკეთეს და ბედნიერებას, იმაში კი წილს იდებთ. ფუ, თქვენს გაუკაცობასა, გულშემატკივრობასა, თქვენს სულგრძელობასა! განა ეგრე უნდა? ლხინში მეც შენთანაო, ჭირში კი შენ შენთვისაო და მე ჩემთვისაო. ამას უცილოთ თქვენგან დაგითმობთ!..

ჩვენი გაზეთიო ჩვენის ცხოვრების სარკე უნდა იყოსო. თუ ეგრეა, მაშ ხომ ჩვენს ცხოვრებაში უნდა ჩაებათ, ის კი აღარ იცით, ხარი ხართან დააბიო, ან ზნეს იცვლის ან ფერსაო. გნახოთ თუ ფერიცა და ზნეც არ გაცვლევინოთ. მე ადამიანის ცხოვრება ცოტად თუ ბევრად მიწვნევია და მწამს რომ შექსპირი მართალია. „სულელთ თამაშაა ადამიანის ცხოვრებაო, ამბობს იგი, გინდათ თუ არა უნდა ჩავდგეთ დავიტრიალოთო". ჩვენც გვინდა თუ არა, ჩავდგებით, ვიტრიალებთ და თან ჩავითრევთ ამ ახალს გაზეთსაცა. მაშინ გნახამთ ეს თქვენი „ივერია" როგორ გადიხატავს ამ ტრიალსა. ერთი სიტყვით, კარგი რამ გეჭირება გაგვიკვირდება, ავს კი აღარ გავიკვირვებთ. გნახოთ, მოვიცდით! ჯერ კი როგორღაც უხემუმურია. უფხოა, უფხო, თუ შენც იტყვი, მკითხველო. იქნება გემო და ფხა იმაშია, რისთვისაც ამ „ივერიას" თავი დაუნებებია? ვინ იცის! ეჰა, ქვეყნის უკუღმართობავ, არა იყავ ნება შენი!...

---

## წვრილი ამბები

28 თებერვალს ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის გამგეობამ წარუდგინა ამა ბანკის ზედამხედველს კამიტეტს წარსულის წლის ანგარიში. ამ ანგარიშიდამ სჩანს, რომ ხარჯს გარეითად ბანკს შარშანდელის წლიდამ სამი ათასს თუმანზედ მეტი მოგება დარჩენია. ზედა-მხედველს კამიტეტს, მიღებულის წესისამებრ, დაუნიშნავს კომმისია ამ ანგარიშის გასასინჯავათ და შესათანასწორებლად. ზედა-მხედველის კამიტეტის დამტკიცების შემდეგ ეს ანგარიში გამოცხადდება და დაიბეჭდება ბანკის წესდებულებაში აღნიშნულს გაზეთებში.

---

1 მარტს ფინანსთა სამინისტროს უცნობებია ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის ზედა-მხედველის კამიტეტისათვის, რომ მას პატივის-დებაში მიუღია ბანკის წესდებულების ცვლილებანი, რომელნიც შარშან ბანკის მწევრთა საჭიროდ დაინახეს და ზედამხედველის კამიტეტის შუამდგომლობით წარუდგინეს მინისტრსა. მხოლოდ ზოგიერთს დამატებას და ახსნას თხოულობს კამიტეტისაგან სამინისტრო და აწ საქმე ამაზე არის შემდგარი.

---

თებერვალში დაიბეჭდა ცალკე წიგნათ და ამ დღეებში გამოვა გასასყიდად ინგლისის გამოჩენილის პოეტის ვილლიამ შექსპირის ტრაგედია „მეფე ლირი" თარგმნილი ქართულად ივ. მაჩაბლისა და ილ. ჭავჭავაძისაგან.

---

ჩვენ შევიტყეთ რომ მზადდება დასაბეჭდად ქართული წიგნი „ქართველთ ცხოვრება ნიკოლოზ დადიანისა. ეს თხზულება მით არის უფრო შესანიშნავი თურმე, რომ უკანასკნელი ჩვენის ისტორიის დრო ვრცლად არის აღწერილი, ნამეტნავათ იმერეთის ამბები.

---

ამბობენ რომ ქალაქში შეყრილის მილიციიდამ ზოგიერთნი დაუთხოვნელად და თავისის ნებით შინვე ბრუნდებიანო. ამისი მიზეზი თურმე ის არის მარტო, რომ სოფლის საზოგადოებათა, რომელთაც მილიციონერები ამოურჩევიათ და გამოუგზავნიათ, პირობა მიუციათ და ზოგან ხელ-შეკრულობის ხელწერილიცაო, რომ თვეში ამდენ და ამდენს ჯამაგირს ჩვენად მოგცემთო და ამას თურმე არ უსრულებენო.

---

რედაქცია „ივერიისა" ამით აცხადებს, რომ სასოფლო საამხანაგო ბანკების ანგარიშს და აგრეთვე ქართულის წიგნების თაობაზედ განცხადებას უფასოდ დაჰბეჭდავს.

# განცხადება

ამ წლის მარტის თვიდამ გამოდის ტფილისში

## ქ ა რ თ უ ლ ი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ი ვ ე რ ი ა

დამტკიცებული პროგრამმა რედაქციას ნებას აძლევს იქონიოს გაზეთში შემდევი განყოფილებანი:

1) წინამძღომელი წერილები, რომლებშიაც გამოითქმება რედაქციის აზრი შესახებ საზოგადო ცხოვრების სხვა და სხვა გვარ საგანთა.

2) საქართველო: განხილვა ყოველის გვარის საგნისა, რაც კი შეეხება ჩვენში მთავრობითსა წარმოებასა და საზოგადოების ცხოვრებასა.

3) რუსეთი: განხილვა ყოველის გვარის შესანიშნავის საგნისა, რაც კი შეეხება რუსეთის სახელმწიფოს წარმოებას და საზოგადოების ცხოვრებასა.

4) უცხოეთი: განხილვა ყოველის გვარის საგნისა, რაც კი შეეხება საზოგადო პოლიტიკას, უცხო ქვეყნების სახელმწიფო წარმოებასა და საზოგადოების ცხოვრებასა.

5) კორრესპონდენციები შესახებ ჩვენის ქვეყნისა, რუსეთისა და უცხო ქვეყნებისა.

6) სამეცნიერო განყოფილება: წერილები შესახებ ყოველის გვარის მეცნიერებისა.

7) ბელლეტრისტიკა: მოთხრობები, სცენები, ლექსები და სხვა ამ გვარი.

8) კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

9) ფელეტონი.

10) სასამართლოს მატიანე: სასამართლოების განაჩენის ბეჭვდა და მისი განხილვა.

11) სხვა და სხვა გაზეთების ნაამბობნი.

12) კერძოთა პირთა განცხადებანი და საჭირო ცნობათა სქემა.

გაზეთი «ივერია» გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით.

მარტიდამ იანვრამდე გაზეთის ფასი ექვსი მანეთია როგორც ტფილისელებისათვის, აგრეთვე ტფილისის გარეთ მცხოვრებთათვის.—

ხელის მოწერა მიიღება: «ივერიის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, მთაწმინდის ქუჩაზედ, შიოევის სახლებ ზემოდ **№ 5.**

ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

რედაქტორი—გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.

Дозволено цензурою. Тиѳлисъ, 1 Марта 1877 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.